CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 24 დეკემბერი, 2008 წელი. №288 (2032) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

მოვაშოროთ სტალინი!

A4

ივანოვი უკრაინას სავიზო რეჟიმით ემუქრება

A8

რობერტ სტურუამ პედაგოგობა გადაწყვიტა

A10

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

BORJOMI ბორჯომი

GRDC group

ჯი პი აი
ჩვენის საადაზღვევო ჯგუფი

რუსული მანტაჟი

მოსკოვის ზეწოლით საქართველოში ეუთოს მისია იხურება

დიმიტრი ავალიანი

ეუთო-ს მისია საქართველოში მუშაობას ვეღარ გააგრძელებს. რუსეთი ეუთო-ს წევრი 56 ქვეყნის წინააღმდეგ წავიდა - ამ ორგანიზაციაში ვეტოს უფლება გამოიყენა და საქართველოში ეუთო-ს მისიის მანდატის გაგრძელების საკითხი დაბლოკა. რუსეთის ნაბიჯი აშშ-მ, ევროკავშირმა და რამდენიმე ქვეყანამ დაგმეს. ოფიციალური თბილისი მიიჩნევს, რომ რუსეთი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობას გამიზნულად უშლის ხელს.

საქართველოში ეუთოს მისიის ხელმძღვანელი ტერი ჰაკალა.

ეუთო-ს ახლანდელი ფორმატი საქართველოში არ ითვალისწინებს აფხაზურ და ოსურ კომპონენტებს, ამიტომაც უნდა გადაისინჯოს, - მოსკოვის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზეზები განმარტა რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ეუთოში ანვარ აზიმოვმა. მისი თქმით, საქართველოში მისიის დახურვა ეუთო-ს **"18 მილიონ ევროს დაუზოგავს."**

ანვარ აზიმოვმა აღნიშნა, რომ რუსეთი **"მზად არის, რეგიონში მათი** (ეუთო-ს დამკვირვებელთა) **შემდგომი ყოფნის საკითხი განიხილოს, ოღონდ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შექმნის გათვალისწინებით."** მან აღნიშნა, რომ სერბეთშიც ამჟამად ორი მისია მუშაობს – ბელგრადსა და კოსოვოს დედაქალაქ პრიშტინაში. ამგვარად, რუსეთმა ეუთო-ს წევრ ქვეყნებს, საქართველოში მისიის გაგრძელების სანაცვლოდ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო.

რუსეთის არაკონსტრუქციული პოზიციის გამო საქართველოში ეუთო-ს მისიამ მუშაობა შეწყვიტა, - ეს განცხადება გუშინ საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა ტერი ჰაკალამ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ნალბანდოვთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

ჰაკალას თქმით, მისიის გასვლის პროცესი იანვრიდან დაიწყება. გასვლის გეგმა ჯერ დეტალურად არ არის გაწერილი. როგორც მისიის ხელმძღვანელმა აღნიშნა, იგი იმედგაცრუებულია, რადგან საქართველოში მართლაც ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

გაგრძელება A3 გვერდზე

აშშ-საქართველოს ურთიერთობების ახალი ეტაპი

პრეზიდენტმა სააკაშვილმა გუშინ უშიშროების საბჭოს სხდომა გამართა, რომელზეც საქართველო-აშშ-ს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულების შესახებ ისაუბრეს.

ნინო დალაქიშვილი

კონკრეტულად რას ითვალისწინებს აშშ-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობა, ამის შესახებ მწირი ინფორმაცია არსებობს. დეტალები ამ დრომდე არ ხმაურდება, თუმცა, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, შეთანხმებაში საუბარია სტრატეგიულ პარტნიორობაზე ოთხ სფეროში - უსაფრთხოება, უშიშროება, დემოკრატიის გაძლიერება და კულტურული ურთიერთობების გაღრმავება.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უშიშროების საბჭოს სხდომაზე განაცხადა: **„ყველა ქვეყანამ, რომელმაც მსოფლიოს ყველაზე მძლავრ სახელმწიფოსთან ასეთი ურთიერთობების ჩამოყალიბება მოახერხა, შეძლო ქვეყნის შიგნით სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა და რეგიონში მშვიდობის დამყარება. ყველაფერი, რაც გავაკეთეთ ამ მიმართულებით, ემსახურება საქართველოს სიძლიერეს, სტაბილურობას, მშვიდობიან განვითარებას. საქართველო მზად არის, რუსეთთან ყველა დონეზე და ყოველთვის აწარმოოს მოლაპარაკებები, მაგრამ მოლაპარაკებები უნდა დაეფუძნოს იმ ფაქტს, რომ რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი.**

გაგრძელება A2 გვერდზე

რუსეთთან "გამყინვარება" შენარჩუნდება

პარლამენტი საშემოდგომო სესიისთვის განკუთვნილ პერიოდში "ვერ ჩაეტია" – 2008 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი კანონპროექტის განხილვა და მიღება ვერ მოესწრო. ამიტომ, პრეზიდენტის განკარგულებით, გუშინდელი დღიდან მოწვეულია რიგგარეშე სესია, რომელზეც დეპუტატებმა საკანონმდებლო "დავალიანებები" უნდა დაფარონ. ცაიტნოტის მიუხედავად, პარლამენტარები მაინც "ახერხებენ", რომ კანონშემოქმედებით საქმიანობას საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე დისკუსიაც შეუთავსონ. გუშინ პარლამენტში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების პერსპექტივაზე საკმაოდ მძაფრი პოლემიკა გაიმართა.

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე გაზეთ "კომერსანტში" გამოქვეყნებულ სტატიას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც, რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებას შორის დღემდე არსებობს გარკვეული კონტაქტები, რომლის საბოლოო მიზანი ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაა.

"მაინტერესებს, მართლა არსებობს თუ არა ასეთი კონტაქტები და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის მცდელობა რამდენად შეესაბამება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს," - შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისგან ითხოვს პასუხს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

გუშინდელ რიგგარეშე სესიაზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თემას ვეფხვაძის თანაფრაქციელი გურამ ჩახვაძეც გამოეხმაურა.

გაგრძელება A3 გვერდზე

CMYK - 1

პერევიდან გახიზნული მოსახლეობა სოფელში ბრუნდება

საჩხერის რაიონის სოფელ პერევში ამ დროისთვის ვითარება შედარებით სტაბილურია. სოფლიდან გახიზნული ახალგაზრდები პერევში დაბრუნებას იწყებენ. როგორც საჩხერის რაიონის გამგებელმა ზურაბ ცერცვაძემ განაცხადა, ამ დროისთვის სოფელში ბავშვების ნაწილი უკვე დაბრუნდა, მოსახლეობის ნაწილი კი შვილების ჩამოყვანისგან თავს იკავებს. მოსწავლეების რაოდენობამ სკოლაშიც იმატა და სასწავლო პროცესი ჩვეულ რეჟიმში გრძელდება. პერევიდან ადგილობრივმა მოსახლეობამ ბავშვები მას შემდეგ გახიზნა, რაც 13 დეკემბერს სოფელში რუსული საოკუპაციო ჯარები გაზრდილი შემადგენლობით დაბრუნდნენ. ***მედიანიუსი***

პრემიერ-მინისტრი თურქეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა

გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გრიგოლ მგალობლიშვილი სამუშაო ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკას ეწვია. პრემიერი ვიზიტის ფარგლებში თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ აბდულაჰ გიულს შეხვდა. გუშინვე გაიმართა მიღება დიპლომატიურ კორპუსთან, სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა. გრიგოლ მგალობლიშვილი თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეპ ტაიპ ერდოღანსა და სახელმწიფო მინისტრ კურშად ტუსმანსაც შეხვდება. საქართველო-თურქეთის მოლაპარაკებების შემდეგ პრემიერ-მინისტრები ერთობლივ პრესკონფერენციას გამართავენ. დღეს დღის განმავლობაში დაგეგმილია შეხვედრები ენერგეტიკული ჯგუფის "შაბანცი ჰოლდინგის" პრეზიდენტთან, "გამა ჯგუფის" გენერალური დირექტორის მოადგილესთან, ტექსტილის კომპანიის თავმჯდომარესთან, გაიმართება შეხვედრები თურქულ ენერგეტიკულ კომპანიებთან. ***ჯი-ეიჩ-ენი***

გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში ავტომობილი აფეთქდა

გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში ავტომობილი აფეთქდა, რის შედეგადაც ერთი ადგილობრივი მკვიდრი დაზარალდა. როგორც აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრმა დალილა ხორავამ განაცხადა, დაზარალებული, რომელსაც მხოლოდ სახის არეში აქვს მსუბუქი დაზიანებები, გალის საავადმყოფოში გადაიყვანეს. გუშინვე გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციით, ჭუბურხინჯში გოგოხიების ოჯახი ნაღმზე აფეთქდა, რის შედეგადაც ექვსმა ადამიანმა, მათ შორის მცირეწლოვანმა ბავშვმა, სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღო. ***ინტერპრესნიუსი***

ედპ ანტიკრიზისულ საბჭოზე პრემიერ-მინისტრისა და კონტროლის პალატის თავმჯდომარის მიწვევას ითხოვს

„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერი ბაჩუკი ქარდავა ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე პრემიერ-მინისტრისა და კონტროლის პალატის თავმჯდომარის მიწვევას ითხოვს. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ბაჩუკი ქარდავამ განაცხადა, პრემიერ-მინისტრმა გრიგოლ მგალობლიშვილმა საბჭოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რა თანხები შემოვიდა უცხოური ორგანიზაციებიდან; გარდა ამისა, რა მოლოდინებია სხვა თანხების მისაღებად, რათა დროული დახმარება აღმოუჩინონ აგვისტოს მოვლენების დროს დაზარალებულ მოსახლეობას.

ედპ-ს ლიდერის თქმით, რომელიც ანტიკრიზისული საბჭოს წევრია, დევნილები უკიდურესად რთულ ვითარებაში არიან და ბევრია გასაკეთებელი, რათა მათ მინიმალური პირობები მაინც ჰქონდეთ. ქარდავას განცხადებით, ასევე აუცილებელია საბჭოს სხდომაზე კონტროლის პალატის თავმჯდომარეც მივიდეს, რადგან გახარჯულ თანხებზე ტექნიკური მონიტორინგი სწორედ კონტროლის პალატამ უნდა განახორციელოს. ***ინტერპრესნიუსი***

საავტომობილო გზებზე მოძრაობა სპეციალური რეჟიმით ხორციელდება

საქართველოს საავტომობილო გზების სხვადასხვა მონაკვეთზე მოძრაობა სპეციალური რეჟიმით ხორციელდება. გზების დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თოვლისა და ლიპყინულის გამო ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის (სომხეთის საზღვარი) საავტომობილო გზის 74-97 კმ-ზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და დიდი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით არის შესაძლებელი. მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. ასევე, თავისუფალია მოძრაობა გზის დანარჩენ მონაკვეთებში.

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის 93-108 კმ-ზე გუდაური (ფოსტა) – კობის მონაკვეთზე აკრძალულია მოძრაობა მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსებისთვის. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის 54-106 კმ-ზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. იგივე რეჟიმი მოქმედებს დიდი დმანისი-დმანისი-ბედიანის საავტომობილო გზის 17-70 კმ-ზე. ***ინტერპრესნიუსი***

აშშ-საქართველოს ურთიერთობების ახალი ეტაპი

პირველი გვერდიდან

დიალოგი უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, დამოუკიდებლობას და საქართველოს თავისუფალი არჩევანის პატივისცემას. ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდება, საქართველოს მთლიანობის, დემოკრატიის და მშვიდობის გარანტი იქნება."

საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე მოეწერება ხელი. კონკრეტული თარიღის შესახებ ინფორმაცია უშიშროების საბჭოს მდივან ეკა ტყეშელაშვილსაც არა აქვს. **„თარიღის შესახებ არ მინდა წინასწარი ვარაუდი გამოვთქვა, გეტყვით მხოლოდ იმას, რომ დოკუმენტზე მუშობა დიდ დროს არ წაიღებს,"** - ამბობს ტყეშელაშვილი.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების განმარტებით, აშშ-სთან ურთიერთთანამშრომლობის ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ქმედება აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად შეფასდება.

პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში უშიშროების საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ, აღნიშნულ ხელშეკრულებაზე კომენტარი გააკეთა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგა ბოკერიამ. მისი თქმით, **"ხელშეკრულების წარმატებით გაფორმების შემდეგ ორი ქვეყნის ურთიერთობები თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავა."** მომზადებულ დოკუმენტს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილიც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ხელშეკრულებაში სტრატეგიულ პარტნიორობაზეა საუბარი. **" მგონი, ყველას ესმის, რომ ამერიკის სტრატეგიული პარტნიორის წინააღმდეგ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება პოლიტიკურად სხვაგვარად აღიქმება, ვიდრე ჩვეულებრივ შემთხვევაში,"** - აღნიშნა იაკობაშვილმა.

სხდომას აშშ-ში საქართველოს ახალი ელჩი ბათუ ქუთელიაც ესწრებოდა. პრეზიდენტმა მას დოკუმენტზე მუშაობა დაავალა. როგორც მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, აშშ-ში საქართველოს ელჩად თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილის დანიშვნა ადასტურებს, რომ საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამერიკასთან თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობას. **"სამწუხაროდ, რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც საქართველოში ეუთოს მისია მოკლა და ეს ადასტურებს, რომ კონფლიქტთან დაკავშირებით საქართველო ყველა საკითხში მართალი იყო,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა.

ოპოზიციური ქრონიკა

"კონსერვატორების" მოთხოვნა

არასაპარლამენტო ოპოზიცია საქართველოსა და აშშ-ს შორის ჩარჩო-ხელშეკრულების ტექსტის გამოქვეყნებას მოითხოვს.

გუშინ "კონსერვატიული პარტიის" წევრმა კახა კუკავამ პრესკონფერენცია გამართა და აღნიშნული დოკუმენტის საჯარო გამოქვეყნება მოითხოვა: **"მოვითხოვთ, ხელშეკრულების ტექსტი საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნდეს, რათა ქართული საზოგადოების მიერ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტით გათვალისწინებული ვალდებულებები სათანადოდ შეფასდეს."**

კახა კუკავამ აღნიშნა, რომ იგი დასავლელ პარტნიორებთან თანამშრომლობის წინააღმდეგ არ გამოდის. პირიქით, მიესალმება ამ ფაქტს. თუმცა, მისი თქმით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოებას არ აინტერესებს, კონკრეტულად რა დოკუმენტზეა საუბარი.

როგორც "კონსერვატორმა" ოპოზიციონერმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განმარტა, ხელისუფლება ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას არ უნდა იღებდეს. მით უფრო მაშინ, თუ იგი საზოგადოებაში დიდი ნდობით ვერ სარგებლობს. **"საქართველო დაზღვეული უნდა იყოს სააკაშვილის რეჟიმის ახალი უპასუხისმგებლო, პროვოკაციული მოქმედებებისგან და ხელმოწერილი უნდა იყოს ხელშეკრულების ის ვარიანტი, რომელიც რეალურად შეუწყობს ხელს ქვეყნის უსაფრთხოებისა და დემოკრატიის განმტკიცებას,"** - განაცხადა კუკავამ.

კონსულტაციები გრძელდება

ხელისუფლების შეცვლის მიზნით ოპოზიციის შიგნით ტრადიციული კონსულტაციები გრძელდება. გუშინ "საქართველოს გზის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილი "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს, ასევე "ეროვნული ფორუმის" წევრებს კახა შარტავასა და გუბაზ სანიკიძეს შეხვდა.

გუშინვე მასმედიით გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ გაერო-ში საქართველოს ყოფილი ელჩი ირაკლი ალასანია სახალხო დამცველ სოზარ სუბარს აშშ-დან ტელეფონით ესაუბრა და მასთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა. აღნიშნული ინფორმაცია სუბარმაც დაადასტურა. სუბარის განმარტებით, ალასანიას მომავალი საუბრის თემა არ დაუკონკრეტებია, თუმცა იგი, სავარაუდოდ, მომავალ პოლიტიკურ თანამშრომლობას ეხება.

საკუთარი ინფორმაცია

მსჯელობა პოლიტიკურ ეთიკაზე

გიორგი ასანიშვილი

პოლიტიკური ეთიკის თემა პარლამენტში კვლავ აქტუალურია. ამის მიზეზი გახდა ტელეკომპანია "კავკასიის" ეთერში მომხდარი შემთხვევა, როდესაც ოპოზიციონერმა კოკა გუნცაძემ მის პოლიტიკურ ოპონენტს, დეპუტატ გიორგი კანდელაკს შეურაცხყოფა მიაყენა. ამ ფაქტს კანდელაკის თანაფრაქციელებმა პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე მკვეთრი შეფასებები მისცეს. ერთადერთი დეპუტატი, ვინც გუნცაძეს გამოექომაგა, "ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია იყო.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი გუნცაძის საქციელს "საზოგადოების წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯს" უწოდებს და მიიჩნევს, რომ მსგავსი ქმედების შემდეგ, ადამიანს უფლება არ აქვს, პოლიტიკური კარიერის გაგრძელებაზე იფიქროს.

"ასეთი პერსონები, მსგავსი საქციელის შემდეგ, კარიერას უნდა ასრულებდნენ," - აღნიშნავს კუბლაშვილი. იგი აღშფოთებულია იმით, რომ მაშინ, როდესაც კოკა გუნცაძე და მისი პოლიტიკური მეგობრები ხელისუფლებას მაღალი ტრიბუნიდან დემოკრატიის განვითარებისკენ მოუწოდებენ, თვითონ განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი არ აქვთ.

საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის აზრით, გუნცაძის მიერ განხორციელებული ძალადობის დაგმობა აუცილებელია, ვინაიდან მომავალში სხვადასხვა ტელევიზიების ეთერი პოლიტიკური დებატებით იქნება გადატვირთული და ამდენად, ამ პრეცედენტს შესაძლოა ნეგატური გაგრძელება მოჰყვეს.

კუბლაშვილის შეფასებებს მთლიანად ეთანხმება მისი კოლეგა, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი. იგი გუნცაძისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს, თუმცა, მიიჩნევს, რომ ასეც რომ მოხდეს, ოპოზიციონერი პოლიტიკოსის პოლიტიკური რეაბილიტაცია მაინც შეუძლებელია. დარჩიაშვილის თქმით, მას დიდი ხანია ჰქონდა ეჭვი, რომ კოკა გუნცაძეს პოლიტიკოსობის არაფერი სცხია და ეს ვარაუდი ტელეკომპანია "კავკასიის" ეთერში მომხდარმა ინციდენტმა კიდევ უფრო განუმტკიცა.

"ეს იყო პოლიტიკური უძლურების გამოვლინება. გუნცაძის საქციელი ისევე შორს დგას პოლიტიკოსის ქმედებისგან, როგორც ჩვენი საპარლამენტო უმრავლესობის წევრები არიან შორს ჩინური ენის გრამატიკის ცოდნისგან," - პოლიტიკურ-ლინგვისტურ შედარებას აკეთებს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე. კუბლაშვილისა და დარჩიაშვილის პოზიციას პარლამენტის თავმჯდომარეც უერთდება. დავით ბაქრაძე ოპოზიციას ნორმალური კამათის სწავლას ურჩევს.

"ასეთი ქცევა, სტილი და პოლიტიკოსები ისტორიას უნდა ჩაბარდნენ," - პოლიტიკურ ოპონენტზე ფიზიკური ზემოქმედების ფაქტს მკაცრად გმობს დავით ბაქრაძე. ამასთან, იგი მადლობას უხდის გიორგი კანდელაკს იმისთვის, რომ მომხდარს თავშეკავებით შეხვდა და პროვოკაციას არ აჰყვა.

ჯონდი ბაღათურია კი კოლეგებს არ ეთანხმება. მართალია, გუნცაძის ქმედებას ის არ ამართლებს, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა შეფასებები გადაჭარბებულია.

"ეს რომ გაეკეთებინა ისეთ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც მსგავსი ქმედება არასდროს ჩაუდენია, მაშინ ყველაფერი გასაგები იქნებოდა. თავად ამ დარბაზში, საკრებულოს შენობაში თუ ქუჩაში არაერთხელ მომხდარა მმართველი გუნდის წევრების მხრიდან ფიზიკური ძალის გამოყენება, მაგრამ მათგან ბოდიში ერთხელაც არ მომისმენია," - დასძენს ბაღათურია.

ტელეკომპანია "კავკასიაში" მომხდართან დაკავშირებით, "დაზარალებული" დეპუტატიც აკეთებს კომენტარს. გიორგი კანდელაკის თქმით, მართალია, გუნცაძემ მას წყალი შეასხა და თავში სამჯერ ჩაარტყა, მაგრამ პროკურატურისთვის მიმართვას და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნას არ აპირებს.

"მე პარლამენტის წევრი ვარ და არა ქუჩის ბიჭი. დეპუტატი რომ არ ვიყო, გუნცაძე აუცილებლად მიიღებდა საკადრის პასუხს," - ასე "ასაბუთებს" თავის "პასიურობას" გიორგი კანდელაკი.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

რუსული შანტაჟი

პირველი გვერდიდან

ჰაკალა ეუთო-ს მთავარი ოფისიდან **„დამატებით ინფორმაციას“** ელოდება. იგი დარწმუნებულია, რომ ამ საკითხზე დამატებითი კონსულტაციები გაგრძელდება, მაგრამ ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, მისიის მუშაობა შეწყვეტილია და ოფისმა საქართველო უნდა დატოვოს.

ტერი ჰაკალას აზრით, ეუთო-ს მისიამ საქართველოში „ბრწყინვალედ იმუშავა“. მისივე ინფორმაციით, ეუთო-ს მისიის ფუნქციებს ამ ეტაპზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია შეითავსებს. ჰაკალამ იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებები გაგრძელდება და ვითარება ახლო მომავალში შეიცვლება.

ამერიკის შეერთებული შტატები შეწუხებულია რუსეთის მიერ საქართველოში ეუთო-ს მისიის მუშაობაზე ვეტოს დადების გამო, - ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა შონ მაკკორმაკმა განაცხადა.

ვაშინგტონს მიაჩნია, რომ რეგიონში დაძაბულობისა და მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობის გათვალისწინებით, რუსეთის გადაწყვეტილების გამართლება ძნელია. **„ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს, შეუერთდეს ეუთო-ს დანარჩენ წევრებს, რათა მისიას რეგიონში მნიშვნელოვანი საქმის შესრულების საშუალება მიეცეს,"** - ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

აქვე აღნიშნულია, რომ რუსეთი, დანარჩენი საერთაშორისო თანამეგობრობის საწინააღმდეგოდ, დაჟინებით მოითხოვდა, მისიის მანდატი მოსკოვის მიერ სამხრეთ ოსეთის აღიარების შესაბამისად შეცვლილიყო.

„აშშ-მ, ევროკავშირმა და დიდმა შვიდეულმა კი ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება დაგმეს და ეუთო-ს დანარჩენმა წევრებმაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარეს," - ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოში ეუთო-ს მისიის მანდატის შეწყვეტის გამო ევროკავშირი სინანულს გამოთქვამს. ევროკავშირის სახელით განცხადება საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა. საგარეო უწყება იმედოვნებს, რომ საქართველოში ეუთო-ს მისიის თაობაზე დისკუსიები გაგრძელდება.

ევროკავშირს მიაჩნია, რომ ეუთო რეგიონში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. რეგიონში ორგანიზაციის მისიის მნიშვნელობაზე აქცენტი სარკოზი-მედვედევ-სააკაშვილის შეთანხმებაშიც არის გაკეთებული.

რუსეთის ქმედების გამო ავსტრიის ევროპისა და საერთაშორისო საქმეთა მინისტრმა მიხაელ შპიდელეგერმა სინანული გამოთქვა. **„ჟენევაში საქართველოსა და რუსეთს შორის ახალი, იმედისმომცემი დიალოგის შემდეგ ეს უკან გადადგმული პირველი ნაბიჯია, რომელიც მწარე იმედგაცრუებას იწვევს,"** - განაცხადა ავსტრიელმა მინისტრმა.

მისივე თქმით, ეუთო-ს მისიის იძულებითი გაწვევა რეგიონში სტაბილურობას ხელს არ შეუწყობს. შპიდელეგერი მიიჩნევს, რომ ამით უპირველესად რუსეთი არ უნდა იყოს დაინტერესებული. **„ამ საკითხში რუსეთისგან მეტ პრაგმატიზმსა და მოქნილობას ველოდი,"** - განაცხადა შპიდელეგერმა.

ამასთან, ავსტრია იმედოვნებს, რომ ეუთო-ს საბერძნეთის თავმჯდომარეობის პერიოდში, საქართველოში ორგანიზაციის მუშაობის საკითხში კომპრომისი მოიძებნება.

ეუთო-ს მანდატი საქართველოში 31 დეკემბერს იწურება. მისიაში ორასამდე თანამშრომელი მუშაობს, მათ შორის - 28 სამხედრო დამკვირვებელი. 20 მათგანისთვის, რომლებიც კარალეთის ბაზაზე არიან განლაგებულნი, მანდატი 2009 წლის 19 თებერვლამდე მოქმედებს. როგორც სააგენტო „როიტერი“ დიპლომატიურ წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, ეუთო-ს საქართველოში ყოფნის შესახებ მოლაპარაკებები გაგრძელდება.

“ამ ქმედებით რუსეთის ფედერაცია აგრძელებს თავის გამიზნულ პოლიტიკას, რომელიც ემსახურება ეუთო-ს როლის შესუსტებას როგორც საქართველოში, ისე ეუთო-ს მთელ სივრცეში. რუსეთის ფედერაციის ეს გადაწყვეტილება განხილული უნდა იქნას რუსეთის მიერ საქართველოში ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებისა და ევროკავშირის დამკვირვებელთა საქმიანობის დისკრედიტაციის მცდელობისა და ამ მისიების წარმომადგენლებზე განხორციელებული ფიზიკური თავდასხმების კონტექსტში," - ასე შეაფასა რუსეთის მიერ საქართველოში ეუთო-ს მისიის საქმიანობის დაბლოკვა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

უწყების განცხადებაში აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაციამ უარყო მისიის მანდატის რამდენიმე თვით, ტექნიკური სახით გაგრძელების წინადადებაც, რაც წევრ ქვეყნებს შესაძლებლობას მისცემდა, შეეთანხმებინათ ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილება მისიის მომავალი საქმიანობის შესახებ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ღრმა მწუხარება გამოხატა შექმნილი მდგომარეობის გამო და აღნიშნა, რომ ეუთო-ს რეგიონში კიდევ ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი.

“აშკარა ხდება, რომ რუსეთის ფედერაცია სისტემატურად და გამიზნულად ძირს უთხრის საქართველოში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობას, განსაკუთრებით იმ მიზეზით, რომ რუსეთს არ სურს საერთაშორისო გამჭვირვალობა მის მიერ ოკუპირებული საქართველოს რეგიონების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, მილიტარიზაციის ფონზე. მით უმეტეს, რომ ეუთო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ბოლო პერიოდის მანძილზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ოკუპირებულ რეგიონებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე რუსი სამხედროებისა და მათი მარიონეტების მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებების გამოაშკარავების თვალსაზრისით,” – აღნიშნულია საქართველოს საგარეო უწყების განცხადებაში.

გარდა ამისა, საქართველოში ეუთო-ს საქმიანობის გაგრძელებაზე ვეტოს დადება 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პრინციპების აშკარა დარღვევას წარმოადგენს, - აღნიშნავს საგარეო უწყება.

“აღნიშნული გადაწყვეტილება ნათლად აჩვენებს, რომ რუსეთი დაუფარავად უპირისპირდება მთელ საერთაშორისო სამართლის სისტემას და საერთაშორისო საზოგადოებას, საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების, უპირველეს ყოვლისა, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აშკარა უპატივცემულობით,” - ნათქვამია განცხადებაში.

ამავე დროს, საქართველო მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას **“ერთობლივი ძალებით მოახდინოს რეაგირება რუსეთის ფედერაციის მცდელობაზე, ხელი შეუშალოს საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობის გაგრძელებას.”**

რუსეთთან "გამყინვარება" შენარჩუნდება

პირველი გვერდიდან

მისი აზრით, ვიდრე რუსეთი მის მიერ ხელმოწერილ შეთანხმებებს არ შეასრულებს, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მოსკოვთან კონტაქტების დამყარების ნებისმიერი მცდელობა პოლიტიკურ კაპიტულაციად უნდა შეფასდეს. ჩახვაძე ითხოვს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად დაადასტუროს, რომ რუსეთის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებამდე, ამ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა კატეგორიულად გამორიცხულია...

ბოლო პერიოდში "ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია რამდენჯერმე დაუპირისპირდა საპარლამენტო უმცირესობას. ამიტომ, სულაც არ ყოფილა მოულოდნელი, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხზეც მას დანარჩენი ოპოზიციონერი კოლეგებისგან განსხვავებული შეხედულება აღმოაჩნდა. ბაღათურიას სულაც არ მიაჩნია დასაძრახად, რომ შესაძლებელია საქართველოს პრეზიდენტს ფარული კონტაქტები ჰქონდეს რუსეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან, როგორც ამას "კომერსანტი" იუწყება. "ქართული დასის" ლიდერი მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ ასეთი კონტაქტები ღია იყოს და საზოგადოების ზურგს უკან არ მყარდებოდეს.

ჯონდი ბაღათურია ასევე აცხადებს, რომ რუსეთთან პირდაპირი კავშირების და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შანსის გამოუყენებლობა დანაშაულია ქართველი ხალხის წინაშე.

"პერევის ინციდენტის შემდეგ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში კვლავ ღრუბელი ჩამოწვა, მაგრამ შანსს მაინც ვხედავ. მოსკოვთან ენის მოჩლექით ლაპარაკის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, მაგრამ დიალოგი მაინც აუცილებელია," - ასკვნის ბაღათურია.

"ქართული დასის" ლიდერის პოზიციას მკვეთრად აკრიტიკებს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი. რუსეთთან ორმხრივი ურთიერთობების განახლება ამ ეტაპზე მას გაუმართლებლად მიაჩნია.

"როგორ უნდა დავუშვათ თბილისში რუსეთის საელჩოს ფუნქციონირების აღდგენა, როდესაც კრემლი საქართველოს დედაქალაქიდან 65 კილომეტრის დაშორებით, ცხინვალში, მეორე საელჩოს ხსნის, ხოლო 422 კილომეტრის დაშორებით, სოხუმში – მესამეს?" - კითხვით მიმართავს მაჭავარიანი ბაღათურიას.

მისი თქმით, ორმხრივი ურთიერთობების აღდგენით, პირველ რიგში, რუსეთია დაინტერესებული, რათა ამით საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციისა და ანექსიის შედეგები დაიკანონოს.

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ კვლავ გააგრძელოს მუშაობა დასავლელ პარტნიორებთან და ყველა ცივილიზებულ ქვეყანასთან, **"რათა მოსკოვი მიხვდეს, რომ მან აბსოლუტურად არასწორი და უაზრო გადაწყვეტილებები მიიღო".**

გუშინდელი დისკუსიის "ინიციატორ" ლევან ვეფხვაძეს უკვირს, რომ მაშინ, როდესაც საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების ერთ-ერთი ლიდერი ამ ეტაპზე რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის წინააღმდეგ გამოდის, "კომერსანტის" მტკიცებით, ასეთი სურვილი და ინიციატივა სწორედ საქართველოს ხელისუფლებისგან მოდის. ლევან ვეფხვაძე ასევე იხსენებს, რომ თავის დროზე, იმავე "კომერსანტში" გამოქვეყნებული იყო წერილი აფხაზეთის ე.წ "გაყოფის გეგმასთან" დაკავშირებით, რომლის არსებობასაც საქართველოს ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფდა, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ ასეთი გეგმა მართლაც არსებობდა.

ამიტომ, ვეფხვაძე ურჩევს მაჭავარიანს, რომ ბაღათურიას კი არ ეკამათოს, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები დაიბაროს და მათთან გაარკვიოს, რამდენად შეესაბამება რეალობას "კომერსანტში" გამოქვეყნებული პუბლიკაცია.

ვიდრე პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი ასეთ "მოკვლევას" ატარებს, დისკუსიის შედეგებს პარლამენტის თავმჯდომარე აჯამებს.

დავით ბაქრაძეც, მაჭავარიანის მსგავსად, დაბეჯითებით აცხადებს, რუსეთთან ურთიერთობების ფართომასშტაბიან ნორმალიზაციაზე საუბარი ამ ეტაპზე გამორიცხულია.

"ვიდრე მოსკოვი ხსნის საელჩოებს ცხინვალსა და სოხუმში, ვიდრე რუსეთის საოკუპაციო ჯარი დგას საქართველოს ტერიტორიაზე, ვერანაირ ფართომასშტაბიან დარეგულირებაზე და ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე საუბარი ვერ იქნება," - აღნიშნავს ბაქრაძე. მისივე განმარტებით, პოლიტიკური წრეებისა და საზოგადოებისთვის არც ის უნდა იყოს გასაკვირი, თუ სხვადასხვა უწყებრივ დონეებზე რუსეთთან გარკვეული კონტაქტები იარსებებს, ვინაიდან ასეთი რამ აუცილებელია თუნდაც საქართველოს უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე.

"ასეთი კონტაქტები ყოველთვის არსებობს, ომის პირობებშიც კი," - მოსკოვსა და თბილისს შორის გარკვეული კავშირების შენარჩუნებაში სენსაციურს ვერაფერს ხედავს პარლამენტის თავმჯდომარე.

ახალი ქორწინების სახლი პოპულარული გახდა

თბილისში, უზნაძის ქუჩის N2-ში მდებარე ქორწინების სახლი უკვე პოპულარობით სარგებლობს. თანამედროვე სტანდარტებით გარემონტებული ქორწინების სახლი 26 ნოემბერს გაიხსნა და იქ დღემდე 36 ქორწინება დარეგისტრირდა. ქორწინების რეგისტრაციისთვის საჭირო სახელმწიფო ბაჟი დღეს 9 ლარით არის განსაზღვრული, ხოლო სპეციალური სარიტუალო მომსახურების საფასური - 120 ლარს შეადგენს. უზნაძის ქუჩაზე მდებარე იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შენობა, რომელსაც ქორწინების სახლის ფუნქცია 18-წლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა, საბერძნეთის მთავრობის მხარდაჭერით გარემონტდა. შენობის მოდერნიზაციას რამდენიმე თვე და 150 ათასი ევრო დასჭირდა. ***ინტერპრესნიუსი***

სოფელ ფიჩორში შეიარაღებული შეტაკება მოხდა

გალის რაიონის სოფელ ფიჩორში ადგილობრივ აფხაზებსა და რუს ოკუპანტებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მედიაცენტრის ინფორმაციით, რუსმა სამხედროებმა ერთ-ერთ აფხაზურ ოჯახში ბავშვი მონათლეს, შემდეგ კი დათვრნენ და ერთმანეთს სროლა აუტეხეს. ***ინტერპრესნიუსი***

მიხეილ ხუბუტიას განცხადებით, იგი რუსეთთან სააკაშვილის შუამავალია

„რუსეთში ქართველთა კავშირის" პრეზიდენტი მიხეილ ხუბუტია ამტკიცებს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა ნორმალიზაციის მოლაპარაკებებში პრეზიდენტ სააკაშვილის ერთ-ერთი შუამავალია.

როგორც ხუბუტია გაზეთ „კომერსანტისთვის" მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, 21 ნოემბერს მიუნხენში საქართველოს საპატიო საკონსულოს გახსნის დროს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შეხვდა. შეხვედრაზე რუსეთში დროებით მცხოვრები ქართველი დევნილების პრობლემები, თბილისსა და მოსკოვს შორის საჰაერო მიმოსვლის, საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შესაძლებლობა განიხილეს. როგორც ხუბუტიამ „კომერსანტს" განუცხადა, სააკაშვილთან საუბრისას დარჩა შთაბეჭდილება, რომ საქართველოს პრეზიდენტი მოსკოვთან კონტაქტისთვის მზად არის.

„კომერსანტის" ინფორმაციით, პრეზიდენტ საკაშვილის პრესსამსახურში არ დაადასტურეს, მაგრამ არც უარყვეს ცნობა სააკაშვილისა და ხუბუტიას მიუნხენში შეხვედრის შესახებ. ***ინტერპრესნიუსი***

„ფე-ეს-ბეს" ოფიცერი საქართველოს ხელისუფლებაში დიდი სიმპათიებით არ სარგებლობს"

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს მინისტრ თემურ იაკობაშვილის მტკიცებით, „რუსეთში ქართველთა კავშირის" პრეზიდენტი „ფე-ეს-ბეს" ოფიცერია და, შესაბამისად, მის განცხადებებს საზოგადოება ფრთხილად უნდა მოეკიდოს. მინისტრის თქმით, არ იცის, მართლა შეხვდა თუ არა მიხეილ ხუბუტია საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მიუნხენში, მაგრამ დარწმუნებით შეუძლია იმის თქმა, რომ „ფე-ეს-ბეს" ოფიცერი მიხეილ ხუბუტია საქართველოს ხელისუფლებაში დიდი სიმპათიებით არ სარგებლობს. ***ინტერპრესნიუსი***

"პატრიარქს უნდა მიეცეს შანსი, გამოიყენოს გავლენა საქართველოსა და რუსეთს შორის დიალოგში"

დეპუტატ ჯონდი ბაღათურიას აზრით, საქართველოს პატრიარქს უნდა მიეცეს შანსი, გამოიყენოს თავისი გავლენა საქართველოსა და რუსეთს შორის დიალოგში. როგორც ჯონდი ბაღათურიამ დღევანდელ რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, მოსკოვში საქართველოს პატრიარქის ვიზიტის შემდეგ რუსეთმა ჯარები პერევიდან გამოიყვანა, თუმცა შემდეგ სააკაშვილის "ფარული" ურთიერთობების შედეგად პერევში კვლავ შეიყვანეს რუსული ჯარი. "ასეთ ვითარებაში ჯობს ურთიერთობები ღია და პირდაპირი გახდეს და არა "ფარული" და გამოყენებული იქნეს პატრიარქის გავლენა," - განაცხადა ბაღათურიამ. ***ინტერპრესნიუსი***

დღეს ჩუღურეთისა და მთაწმინდის რაიონებს ენერგომომარაგება შეეზღუდებათ

როგორც კომპანია „თელასის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, ზამთრის სეზონზე ჩუღურეთისა და მთაწმინდის მოსახლეობის ელექტრომომარაგების ტექნიკური საიმედოობის უზრუნველსაყოფად თბილისის თბოელექტროცენტრალი გამანაწილებელ ქვესადგურ „თეცში" 6-კილოვოლტიანი გამანაწილებელი მოწყობილობების შეკეთებას გეგმავს. ტექნიკური დანადგარების რეაბილიტაციის გამო, ხვალ ქვესადგურიდან ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდება კომპანია „თელასის" ელექტროგამანაწილებელ ქსელს. კერძოდ, 11.00-დან 12.00 საათამდე ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, კინოს სახლს, რესპუბლიკის მოედნის, ჯავახიშვილის, მარჯანიშვილის, გრიბოედოვის, წინამძღვრიშვილის, უზნაძის ქუჩების, აღმაშენებლისა და რუსთაველის გამზირის ერთ ნაწილს.

15.00-დან 16.00 საათამდე ელექტროენერგიას ვერ მიიღებს მარჯანიშვილის თეატრი, მელიქიშვილის, გრიბოედოვის, მარჯანიშვილის, წინამძღვრიშვილის, უზნაძის ქუჩების, აღმაშენებლისა და რუსთაველის გამზირის მეორე ნაწილი. ელექტრომომარაგების დროებითი გამორთვის შესახებ „თელასმა" შესაბამის ორგანიზაციებს წინასწარ აცნობა. ***ინტერპრესნიუსი***

მოვაბორროთ სტალინი!

გია ნოდია

როცა სერიოზულად ვმსჯელობთ, შესაყვანია თუ არა სტალინი ათ ყველაზე გამოჩენილ ქართველთა სიაში, ეს მაზალოა და სამარცხვინო. ასეთ დისკუსიაში მონაწილეობაც კი ინტელექტუალურად და მორალურად დამამცირებელია.

საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც ეომება რუსეთი, იმიტომ, რომ საქართველოს უნდა დემოკრატიულ ევროპაში, ხოლო რუსეთი იქ არ უშვებს. ამ დროს საქართველოში, სწორედ ამ ომის ეპიცენტრად ქცეული ქალაქის ცენტრში, იმ კაცის ძეგლი დგას, ვინც თავდამსხმელების გმირი და შთაგონების წყაროა. ეს იგივეა, თემურ ლენგს რომ ჩინგიზ-ყაენის დროშებით ხელში შევბრძოლებოდით.

თავი დავანებოთ იმას, რომ აგერ უკვე მესამე პრეზიდენტი დიქტატორობის ბრალდებით გვინდა "გავისტუმროთ" - და ზუსტად იგივე ადამიანები გმირად აცხადებენ მე-20 საუკუნის ყველაზე დიდ ტირანს და მასობრივ მკვლელს.

მოკლედ, სტალინის ძეგლი - გორის ცენტრში და ბევრი ქართველის გულში - ეროვნული შიზოფრენიის ნიშანია. თუ მას ვინახავთ, ბარემ კარგი გემრიელი დიქტატურაც დავამყაროთ და მოვრჩეთ წუწუნს, რომ მთავრობის მაგინებელი თოქ-შოუები გვაკლია. ეჰ, დიდი სოსო ცოცხალი იყოს, ისეთ თოქ-შოუებს გაგიკეთებდათ... გარდა ამისა, ამ რუსეთს რაღას ვეურჩებით - ვინ აგრძელებს სტალინის საქმეს მასზე უკეთესად?

ხალხს უყვარს სტალინი?

პრობლემა ესაა: თან გვესმის, რომ გრიშა ონიანთან სტალინზე სერიოზული კამათი დამამცირებელია, მაგრამ მაინც გვიხდება კამათში ჩაბმა. რატომ?

პასუხი არის "ხალხი". როგორც მთავრობაში ახლახანს ნამყოფმა კაცმა, შემიძლია დავადასტურო, რომ გრიშა ონიანის თანამოაზრეები იქ არ სხედან: საქართველოს ხელისუფლების წევრებს იგივე წარმოდგენა აქვთ სტალინზე, რაც ცივილიზებულ ევროპელებს და ამერიკელებს. ახლა ოპოზიციას გადავხედოთ. ავიღოთ თუნდაც ჩვენი ყველაზე უმწიკვლო ლიბერალები - რესპუბლიკელები. ისინი ხელისუფლებას ადამიანის უფლებათა ევროპული ქარტიიდან უმცირეს გადახვევასაც არ აპატიებენ; მაგრამ, ნეტა რატომ უშვებენ ხელიდან ასეთ შესანიშნავ თემას ხელისუფლების ლიბერალური პოზიციიდან მოსათხრელად? რატომ არ გამოდის თინა ხიდაშელი მრისხანე ფილიპიკით: "მკვლელების და კრიმინალების ხელისუფლება მე-20 საუკუნის უდიდესი მკვლელის ძეგლს იცავს!" მაგრამ არა. ისევ ამ "კრიმინალური ხელისუფლების" წარმომადგენელმა გია ბარამიძემ ამოიღო ხმა.

პოლიტიკოსები ასე იქცევიან, რადგან ისინი ბუნებრივი "ვიგოდნიკები", ანუ პოპულისტები არიან: ერიდებიან ისეთი რამეების თქმას, რაც ხალხს არ მოეწონება და ხმებს დააკარგვინებს. თუმცა რაღა პოლიტიკოსები: არასამთავრობო ორგანიზაციები ხომ არიან ჩვენში ლიბერალური ღირებულებების ყველაზე თავდადებული ქომაგები, მათ მაინც არ უნდა ეშინოდეთ ხალხში "რეიტინგის" დაცემა - მთავარია, დასავლელი დონორები იყვნენ კარგად. მიუხედავად ამისა, რაღაც არ მახსენდება ენჯიოების მიერ ინიცირებული დიდი პეტიცია სტალინის ძეგლის დემონტაჟის მოთხოვნით. არადა, ცოტა ლოგიკურები ვიყოთ: როგორ შეიძლება ველოდოთ ადამიანის უფლებათა დაცვას იქ, სადაც სტალინის ამხელა ძეგლი გვიდგას (როგორც არასამთავრობო სექტორის ამაგდარი წარმომადგენელი, კარგად მესმის, რომ მის მიმართ გამოთქმული ამ კრიტიკული შენიშვნის სამიზნე მეც ვარ)?

მოკლედ, სტალინის გამო თავის ატკიება არავის უნდა, თუმცა ბევრი ხვდება, რომ გორში წამოჭიმული დიდი ბელადის ძეგლი იდიოტურ მდგომარეობაში გვაყენებს. ალბათ, ეგოისტური მოტივების გარდა, აქ "ერის გათიშვის" ღრმად გამჯდარი შიშიც მუშაობს: ბოლო წლებში მეტისმეტად ბევრ თემაზე დავეჯახეთ ქართველები ერთმანეთს, იქნებ ეს სტალინის თემა მაინც აღარ წამოვწიოთ.

მართლა ასე უყვარს ხალხს (მის დიდ ნაწილს) სტალინი, რომ მასზე ხმის ამოღებისა გვეშინია? თითქოს, გიჟი სტალინისტების რიცხვი მცირდება, მათ შორის ბუნებრივი მიზეზების გამო. მაგრამ გვახსოვს არც ისე შორეული წარსული, როცა სტალინის სურათი ყველა ჩვენი მეწაღის და პარიკმახერის სამუშაო ადგილს ამშვენებდა (მოგვიანებით მათ ჯერ შიშველი ლამაზმანები, მერე კი რელიგიური შინაარსის გამოსახულებები დაემატა). არც ერთ (ხო, კარგი, თითქმის არც ერთ) ქართულ ოჯახში სერიოზული სუფრა ისე არ ჩაივლიდა, ბელადის სადღეგრძელო ფეხზე ადგომით არ შესმულიყო. კიდევ ბევრი რამ შეიცვალა!

მაინც რამ შეგვაყვარა ასე ჩვენივე დამპყრობელი და მერე ჯალათი? მისმა ქართულმა წარმომავლობამ? ეს რა თქმა უნდა, მაგრამ წარმოშობით ქართველები სხვებიც არიან. ორჯონიკიძის ძეგლები ხომ სიამოვნებით მოვთხარეთ - რა განსხვავებაა? სტალინი ეროვნული არასრულფასოვნების კომპლექსის კომპენსაციას ახდენდა. თუ ჩვენ რუსეთი გვეჯდა თავზე (ხოლო მრავალი ქართველი, ხალხურად რომ ვთქვათ, მას აქტიურად "უძვრებოდა"), რუსეთს კიდევ სტალინი ეჯდა თავზე და რუსები იმას "უძვრებოდნენ". ჩვენ თუ რუსეთისა და რუსებისა გვეშინოდა, იმათ კიდევ სტალინისა ეშინოდათ. სანამ საქართველოს სახელმწიფოობა - მაშასადამე, ძალა - არ გაჩნდა, სტალინი მისი უძლურების ვირტუალურ კომპენსაციას ახდენდა. ჩვენმა სოსომ მაინც ხომ გიტირათ დედა ყველას!

ნიკიტა ხრუშჩოვის დესტალინიზაციის მერე ამას დაემატა სამართლიანობის განცდით გამოწვეული პროტესტი: ჩვენი სოსო უსამართლოდ დაგვიჩაგრეს! მთელი ცოდვები მას შეაწმინდეს, მავზოლეუმიდან გამოაპანღურეს, ომის მოგებაც აღარაფერში ჩაუთვალეს. რატომ? ცხადია, იმიტომ, რომ ქართველი იყო. ხედავ, როგორ არ ვუყვარვართ!

პროტესტის გრძნობას გარკვეული საფუძველი ჰქონდა. რაც არ უნდა გველეშაპი ყოფილიყო სტალინი, ხრუშჩოვისგან მისი პიროვნული დემონიზაცია ადამიანურად სამართლიანი არ იყო. თავად ხრუშჩოვმა რა, სტალინის ერთგული ჯალათობით არ გაიკეთა კარიერა? აბა მას არ გადაევლო უკრაინისთვის - საერთოდ ვის ეცოდინებოდა ნიკიტას სახელი? რა მორალური უფლებით მოისხა ჰუმანისტის მანტია? მეტიც, სტალინის კრიტიკაში ხშირად ერია მისი ეროვნული წარმომავლობის თემით ფარული თუ აშკარა სპეკულირება. მისი ვერაგობის და შეუბრალებლობის ძირებს მის "აზიატობაშიც" ხედავდნენ - არ იყო ეს მის ქართულ წარმოშობაზე მინიშნება?

მაგრამ მთავარი ის არაა, რომ ხრუშჩოვს ქართველები მაინცდამაინც არ უყვარდა. მთავარი სტალინიზმის კომუნიზმისაგან დაშორების მცდელობაა: "კომუნიზმის პრინციპები კარგია, მაგრამ სტალინმა დაამახინჯა ისინი". ესე იგი სიმახინჯე პირადად სტალინში ყოფილა.

ეს მხოლოდ ხრუშჩოვის, ან მხოლოდ სტალინის გადამგდები საბჭოთა კომუნისტების თეზისი არ იყო. ასე ფიქრობდა ბევრი დასავლელი მემარცხენე ლიბერალიც, ვისაც კომუნიზმის ლამაზი ოცნება გასაწირად არ ემეტებოდა. მათთვის დღესაც მნიშვნელოვანია იმის თქმა, რომ კომუნიზმში რაღაც კარგია, ან, როგორც მინიმუმი, რომ ის გაცილებით ნაკლებ ცუდია, ვიდრე ფაშიზმი. აი, ამ მტკიცებაში არის ფუნდამენტური ფარისევლობა. თუ კომუნიზმს განვიხილავთ არა როგორც ინფანტილური ინტელექტუალების თავებში ჩაჭედილ ზმანებას, არამედ როგორც მრავალ ქვეყანაში გამოცდილ რეალურ პოლიტიკურ რეჟიმს, ის ფაშიზმზე უკეთესი არაფრით გამოდის. სტალინმა გაცილებით მეტი ხალხი დახოცა, ვიდრე ჰიტლერმა, ხოლო "ფაშისტად" შერაცხული მესამე სამყაროს დიქტატორები უმანკო კრავებად ჩანან კამპუჩიელ კომუნისტებთან შედარებით.

სტალინიზმის უარყოფა მაშინაა სამართლიანი, თუ კომუნიზმსაც მივაყოლებთ. ეს პირადად სტალინს ერთი წამითაც არ ამართლებს: ის მილიონობით ადამიანს უპირველეს ყოვლისა პირადი ძალაუფლების გასამტკიცებლად ხოცავდა. მაგრამ საამისო გამართლებას და ასპარეზს მას - ისევე როგორც სხვა კომუნისტ დიქტატორებს - კომუნიზმის დოქტრინა აძლევდა.

მაგრამ ჩვენ ხომ სტალინის ობიექტური შეფასება კი არა, მისდამი ქართველების დამოკიდებულება გვაინტერესებს. 1956 წლიდან მოყოლებული, სტალინის სიყვარული საქართველოში ლამის მასობრივი დისიდენტური მოძრაობის ხასიათს ატარებდა: ის ოფიციოზის მიერ სტალინის ფარისევლური უარყოფის წინააღმდეგაც იყო მიმართული. ეს სტალინიზმს მართალი საქმისთვის და ეროვნული ღირსებისთვის ბრძოლის რომანტიკულ ელფერს სძენდა. ეს კი დამატებით სირთულეს გვიქმნის იმისთვის, რომ დღეს ეროვნული სირცხვილი მოვიშოროთ და სტალინის ძეგლი ამოვკვეთოთ.

დავიჭიროთ სტალინისტები?

ესე იგი, რა ვქნათ? როგორც ყოველთვის, უფრო განვითარებული - ე. წ. "ნორმალური" - ქვეყნების გამოცდილება გავითვალისწინოთ. ავიღოთ გერმანია ჰიტლერის შემდეგ. ვითომ, ასე თავისთავად და ბუნებრივად გადაიყვარეს გერმანელებმა ჰიტლერი? ნურას უკაცრავად. გერმანიაში და სხვა ევროპულ ქვეყნებში ადამიანს, ვინც ჰიტლერის ქებას და იმის უარყოფას დაიწყებს, რომ მან ექვსი მილიონი უდანაშაულო ებრაელი მოკლა, თოქ-შოუზე კი არ დაპატიჟებენ, არამედ ციხეში მიაბრძანებენ. დროდადრო დღესაც სწორედ ასე ექცევიან ცალკეულ ტვინგადაბრუნებულ სუბიექტებს, ვინც ჰიტლერის იმიჯის გამოსწორებას ინდომებს.

ეწინააღმდეგება თუ არა ეს სიტყვის თავისუფლების პრინციპს? რა თქმა უნდა. ამიტომ მე პირადად არა ვარ ასეთი ზომების მომხრე. მაგრამ მათ დამცველებს თავისი ლოგიკა აქვთ: მათი აზრით, მხოლოდ ესაა მასობრივი ცნობიერებიდან ნაციზმის ავთვისებიანი სიმსივნის ამოკვეთის გარანტია. ხოლო მისი ამოუკვეთლობა ქმნის იმის ალბათობას, რომ ნაციზმის რეციდივი განმეორდეს. ეს იმდენად დიდი საფრთხეა საზოგადოებისთვის, რომ მისი თავიდან ასაცილებლად სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზეც ღირს წასვლა.

აზრობრივი ექსპერიმენტის სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ასეთი პრაქტიკის გადმონერგვა ჩვენთან. გერმანიისნაირი კანონები რომ გვქონდეს, ბატონი გრიგოლ ონიანის გამოსვლა პირველი არხის ბოლო გადაცემაში, სადაც ის სტალინის მიერ ხალხის მასობრივ დახვრეტას თან უარყოფდა, თან ამართლებდა (აბა ტროცკისტები თუ იყვნენ, კი უნდა დაეხვრიტათო), მისი დაპატიმრებით უნდა დასრულებულიყო. მას შემდეგ, რაც სტალინის კიდევ რამდენიმე ფანატი ანალოგიურ ბედს გაიზიარებდა, სტალინის მოყვარულთა რიცხვი ბევრად შემცირდებოდა.

ამაში იქნებოდა გარკვეული სამართლიანობა. ცხადია, ნამდვილ სტალინისტს საშუალება რომ ჰქონდეს, მათი ბელადის ნებისმიერ მაძაგებელს დააპატიმრებდა და დახვრეტასაც მიუსჯიდა (საპირისპირო შემთხვევაში არ ყოფილა ნამდვილი სტალინისტი). ისინი მხოლოდ იმიტომ არ გვიჭერენ და არ გვხვრეტენ, რომ საამისო ძალა არა აქვთ. ჩვენ რატომღა ვიყოთ მათ მიმართ ჰუმანურები? მეტიც, თვითონ ისინიც უფრო კარგად გაგვიგებენ: ზედმეტი ლოიალობა და ლიბერალიზმი, თუნდათ მათ მიმართ, მათთვის მხოლოდ დამაბნეველია. ციხეში თუ ჩაალპობ, უფრო გცემს პატივს.

ეს, რა თქმა უნდა, ფანტაზიაა. ჯერ ერთი, სიტყვის თავისუფლების შეუვალობის პრინციპს ჩვენს საზოგადოებაში გაცილებით ნაკლებად აქვს ფესვი გადგმული, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. ამიტომ აქ მასზე უარის თქმა კიდევ უფრო სახიფათოა, ვიდრე გერმანიაში. გარდა ამისა, ჩვენი ევროპელი მეგობრებიც ვერ გაგვიგებენ. სტალინისტებს ხომ კომუნისტებიც უნდა მიყვნენ (რა განსხვავებაა?), ჩემს მიერ უკვე ნახსენები მემარცხენე ფარისევლობა კი ვერაფრით შეეგუება იმას, რომ კომუნისტების მიმართ იმავე სტანდარტებს გამოიყენებ, რასაც ნაცისტების მიმართ. მერე ნახე ადამიანის უფლებების დამცველთა პროტესტები.

არც იმაში ვარ მთლად დარწმუნებული, რომ მთავრობა უახლოეს ხანში სტალინის ძეგლის ხელის ხლებას გაბედავს. პოლიტიკური კაპიტალი დეფიციტური საქონელია და ის მომჭირნედ უნდა დაიხარჯოს, მით უმეტეს ახლა, როცა მკვეთრი, მოსახლეობის რაღაც ჯგუფების გამაღიზიანებელი ნაბიჯები სარისკოდაა მიჩნეული. თუ გარედან არავინ ეჩხუბება სტალინის გამო, ხელისუფლება რატომ გაირთულებს საქმეს - ისე აკლია პრობლემები?

მაშ რა ვქნათ? პირველ რიგში, მოვხსნათ ტაბუ სტალინის თემას. და ხშირად ვთქვათ: მოაშორეთ აქედან სტალინი!

ახალი კორპუსი რუსთავის №2 საპყრობილეში

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის N2 მკაცრი და საერთო რეჟიმის დაწესებულებაში გუშინ ახალი კორპუსი გაიხსნა. შენობა იუსტიციის მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა, ქვემო ქართლის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულმა დავით კირკიტაძემ, ანტიკრიზისული საბჭოს წევრებმა, ადამიანის უფლებათა დამცველი სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

რუსთავის №2 მკაცრი და საერთო რეჟიმის დაწესებულებაში გუშინ ახალი კორპუსი გაიხსნა.

ახალ კორპუსში, რომელიც 970 მსჯავრდებულზეა გათვლილი, მოწესრიგებულია სველი წერტილებისა და კომუნიკაციების სისტემები, კორპუსი აღჭურვილია დაცვისა და უსაფრთხოების უახლესი ტექნოლოგიებითა და აპარატურით. ამასთან, გადაიჭრა ე.წ. „გადატვირთულობის" პრობლემაც.

იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დასრულების სტადიაშია კვების ობიექტის ახალი შენობაც, მომავალი წლიდან კი №2 მკაცრი და საერთო რეჟიმის დაწესებულების ახალი კორპუსში ე.წ. „სწრაფი კვების" ტიპის სასადილოც ამოქმედდება. აქვე არის განახლებული სამედიცინო ნაწილიც.

კომპლექსში სულ სამი საცხოვრებელი კორპუსია, სადაც 2780 პატიმრის მოთავსება შეიძლება. დაწესებულებას ემსახურება მაღაზია, სადაც მსჯავრდებულებს შეუძლიათ შეიძინონ კვების პროდუქტები, პირადი ჰიგიენის და დაწესებულებაში ნებადართული სხვა ნივთები.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის დიმიტრი ძაგნიძის თქმით, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენებული კორპუსი სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე რეფორმისა და ინფრასტრუქტურის ძირეული განახლების პროცესის მორიგი ნაბიჯია.

„მსჯავრდებულები ბუნებრივად მოკლებული არიან სოციალურ აქტივობას, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ შეიქმნას პირობები მათი რესოციალიზაციისათვის," - აღნიშნა ძაგნიძემ და იქვე განმარტა, რომ თანამედროვე სტანდარტების დაწესებულება უახლოეს მომავალში გეგუთშიც გაიხსნება.

რუსთავში მდებარე N 2 მკაცრი და საერთო რეჟიმის დაწესებულების რეკონსტრუქცია 2006 წლის მაისში დაიწყო. ეს გადაწყვეტილება იუსტიციის სამინისტრომ დაწესებულებაში პატიმრების გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობების და სხვა მრავალი დარღვევიდან გამომდინარე მიიღო. წლების განმავლობაში საცხოვრებელი ადგილების სიმცირის გამო მსჯავრდებულები დაწესებულების ტერიტორიაზე კანონდარღვევით აშენებულ "ბარაკებში" ცხოვრობდნენ, იმ დროს დაწესებულებაში არ ფუნქციონირებდა სასადილო ბლოკი, გაუმართავი იყო წყალგაყვანილობის, ელექტრომომარაგების და უსაფრთხოების სისტემები.

N2 მკაცრი და საერთო რეჟიმის დაწესებულების შენობა - ნაგებობები თავდაპირველად 1942 წელს გერმანელი ტყვეების განსათავსებლად აშენდა. მოგვიანებით, 1962 წელს კი მოხდა რეკონსტრუქცია და შეიქმნა ათას პატიმარზე გათვლილი დაწესებულება. 2001 წელს ციხის ტერიტორიაზე მოხდა ხანძარი, რის შედეგადაც მთლიანად დაიწვა მე-4 კორპუსი. ამის შემდეგ, საცხოვრებელი ადგილების სიმცირის გამო მსჯავრდებულები გადაანაწილეს, როგორც სხვა საცხოვრებელ, ასევე საავადმყოფოს კორპუსში, სადაც ჯანმრთელი და ავადმყოფი პატიმრები ერთად იყვნენ, ეს კი კანონის უხეში დარღვევაა.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, დღისთვის დაწესებულება მზადაა სრული დატვირთვით იმუშაოს.

"რუსთავში მდებარე N2 დაწესებულების გახსნა პენიტენციური სისტემის რეფორმის სფეროში მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია, რაც საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების პროცესს უწყობს ხელს. ახალი ციხის გახსნამ საგრძნობლად გააუმჯობესა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული ვითარება. კერძოდ, რუსთავში მდებარე ციხეში ეტაპობრივად მოხდა მსჯავრდებულის განთავსება, რამაც შეამცირა პატიმართა გადატვირთულობის პრობლემა სხვა დაწესებულებებში," – განაცხადა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ დიმიტრი ძაგნიძემ.

ფულის გამოძალვაში ეჭვმიტანილები დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში ეჭვმიტანილები დააკავეს.

საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე, მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ დავით საყვარელიძემ განაცხადა, რომ ეჭვიტანილები შოთა მაცაბერიძე, გელა გიგაშვილი და კობა თორაძე ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებმა 2008 წლის 18-19 დეკემბერს დააკავეს. დაკავებულები ქალთა და არასრულწლოვანთა სასაჯელაღსრულების დაწესებულებიდან სოფიო ასათიანის პატიმრობიდან გათავისუფლებაზე წინასწარ შეუთანხმდნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომელს ოთარ ხურციძეს, რომელმაც, პატიმრობიდან გათავისუფლების სანაცვლოდ, მათ ჯერ – 15 000, ხოლო შემდეგ 10 000 აშშ დოლარი სთხოვა.

დავით საყვარელიძის განცხადებით, მაცაბერიძე და გიგაშვილი შეწყალებით გათავისუფლებულ ასათიანს ქალთა და არასრულწლოვანთა საპყრობილესთან დახვდნენ და ჯერ - მას, ხოლო შემდეგ მისი ოჯახის წევრებს 15000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ციხეში შებრუნებით დაემუქრნენ.

როგორც დავით საყვარელიძემ აღნიშნა, ამის თაობაზე შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისთვის გახდა ცნობილი, რომლებმაც 2008 წლის 18 დეკემბერს, თანხის გადაცემის დროს შოთა მაცაბერიძე და გელა გიგაშვილი, ხოლო მოგვიანებით მათი თანამონაწილე კობა თორაძეც დააკავეს.

"გამოძალვაში კიდევ ერთი ეჭვმიტანილი, ოთარ ხურციძე, (რომელიც შეწყალების კომისიისთვის საბუთებს ამზადებდა. რედ.) ამჟამად ემალება გამოძიებას და ტარდება ოპერატიული ღონიძიებები მის დასაკავებლად, რის თაობაზეც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დამატებით მიეწოდება ინფორმაცია," - განაცხადა საყვარელიძემ.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლებს თბილისის საქალაქო სასამართლომ ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ცნობით, შოთა მაცაბერიძის, გელა გიგაშვილისა და კობა თორაძის მიმართ წინასწარი აღმკვეთი ღონისძიების საკითხი მოსამართლე ტარიელ ტაბატაძემ განიხილა.

"დიდი ოდენობით თანხის გამოძალვის ბარლდებით დაკავებულ პირებს შეწყალების კომისიასთან საერთო არაფერი აქვთ," – განაცხადა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა. მისი თქმით, ეჭვმიტანილები პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლები იყვნენ, არც ერთი მათგანი შეწყალების კომისიის წევრი არ ყოფილა და მათ კომისიის მუშაობასთან არანაირი შეხება არ ჰქონდათ. როგორც სახალხო დამცველი სოზარ სუბარი აცხადებს, პატიმრები საპყრობილეებიდან ისე გაათავისუფლეს, რომ მათი საქმეები შეწყალების კომისიის სხდომაზე განსახილველად არც გასულა.

"პროკურატურის განცხადება, რომ ეს ადამიანები შეწყალების კომისიის წევრები არიან, სიმართლეს არ შეესაბამება. ისინი პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლები არიან, რომლებიც კომისიის გვერდის ავლით ამზადებდნენ შეწყალებულ პატიმართა სიას და მას პრეზიდენტს გადასცემდნენ," - განაცხადა სოზარ სუბარმა.

შეწყალების კომისიის წევრები აცხადებენ, რომ მათთვის უცნობია, რა გზით სძალავდა პატიმრებს ფულს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ხურციძე. შეწყალების კომისიის წევრმა მარიკა ვერულაშვილმა განაცხადა, რომ ხურციძე კომისიის წევრი არ ყოფილა და ხმის უფლებით არ სარგებლობდა.

"ის ერთ-ერთ სამსახურს ხელმძღვანელობდა, რომელიც კომისიაზე გასატან პატიმართა საქმეებს ამზადებდა. მას ხმის უფლებით არასოდეს უსარგებლია, რადგან კომისიის წევრი არ ყოფილა," - განაცხადა მარიკა ვერულაშვილმა.

საკუთარი ინფორმაცია

მკვლელობაში ეჭვმიტანილები

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ალექსანდრე კაციაშვილი და გულვერდი ყორბესაშვილი, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან ტაქსის მძღოლის, კასპის რაიონში მცხოვრებ ელიზბარ შჩერბინის განზრახ მკვლელობაში.

როგორც შს სამინისტრო იწყება, დაკავებულებმა დანაშაული აღიარეს. მიმდინარეობს გამოძიება. საქმეს იძიებს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველო.

ინტერპრესნიუსი

108 პატიმრის საქმეს განიხილავენ

დღეს შეწყალების კომისიის სხდომა გაიმართება. როგორც კომისიის წევრმა, სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა განაცხადა, კომისია სულ 108 პატიმრის საქმეს განიხილავს.

ბოლო შეწყალების განკარგულებას პრეზიდენტმა ხელი 17 დეკემბერს მოაწერა, რის შედეგადაც საპყრობილეები 1280 პატიმარმა დატოვა, მათ შორის 42 ქალია.

მიმდინარე წელს რამდენიმე შეწყალება და ერთი მასშტაბური ამნისტია განხორციელდა. ამნისტირებული პატიმრები საპყრობილეებს ეტაპობრივად ტოვებენ, მათ ნაწილს კი სასჯელის დარჩენილი ვადა გაუნახევრდა.

ჯი-ეიჩ-ენი

მშრალტვირთმზიდი დააჯარიმეს

მშრალტვირთმზიდის ეკიპაჟის წევრებმა ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმა გადაიხადეს.

სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის ცნობით, MED K-ის ეკიპაჟის წევრებმა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 25 ათასი ლარი გადაიხადეს.

სანაპირო დაცვის მესაზღვრეებმა მოლდოვის დროშით მცურავი მშრალტვირთმზიდი MED K 12 დეკემბერს ფოთში დააკავეს. გემი 10-20 ნოემბრის პერიოდში სოხუმის პორტში იმყოფებოდა, სადაც, სავარაუდოდ, სამშენებლო მასალები შეიტანა.

ფოთის საქალაქო სასამართლომ ეკიპაჟის 5 წევრს გირაო, თითოეულს 5 ათასი ლარის ოდენობით შეუფარდა.

ინტერპრესნიუსი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი წევრი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ვალერი ცეცვაძემ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანამშრომლებს ახალი წევრი კახა კობერიძე წარუდგინა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრესსმასახურის ცნობით, კახა კობერიძე საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 19 დეკემბრის N872 განკარგულებით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად დაინიშნა.

კახა კობერიძე გენერალური პროკურორის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა.

ინტერპრესნიუსი

ახალი ქორწინების სახლი

თბილისში, უზნაძის ქუჩა N2-ში მდებარე ქორწინების სახლი უკვე პოპულარობით სარგებლობს. თანამედროვე სტანდარტებით გარემონტებული ქორწინების სახლი 26 ნოემბერს გაიხსნა და დღემდე 36 ქორწინება დარეგისტრირდა.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ინფორმაციით, ქორწინების სახლში განთავსებულია სხვადასხვა დიზაინის ორი სარიტუალო დარბაზი. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს აღნიშნულ სამსახურში ქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელია, მხოლოდ საზეიმო რიტუალის თანხმებით.

ქორწინების რეგისტრაციისთვის საჭირო სახელმწიფო ბაჟი დღეს 9 ლარით არის განსაზღვრული, ხოლო სპეციალური სარიტუალო მომსახურების საფასური - 120 ლარს შეადგენს.

რიტუალის ჩატარების უფლება მხოლოდ ქორწინების სახლებს გააჩნიათ, ხოლო სახელმწიფო ბაჟის გადახდის საფუძველზე ქორწინების რეგისტრაცია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებსაც შეუძლიათ.

უზნაძის ქუჩაზე მდებარე იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შენობა, რომელსაც ქორწინების სახლის ფუნქცია 18-წლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა, საბერძნეთის მთავრობის მხარდაჭერით გარემონტდა. შენობის მოდერნიზაციას რამდენიმე თვე და 150 ათასი ევრო დასჭირდა.

უზნაძის ქუჩაზე ქორწინების სახლი 1964 წლის 30 აგვისტოს გაიხსნა და 1990 წლის ჩათვლით მოქმედებდა. ამ პერიოდში შენობაში 125 429 წყვილის ქორწინება დარეგისტრირდა. ქორწინების სახლი ყოფილი შენობა 1991 წელს ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას დროებით სარგებლობაში გადაეცა, 2006 წელს კი მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, უზნაძის ქ. №2-ს ძველი ფუნქცია დაებრუნებინა და შენობა იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გადასცა.

ინტერპრესნიუსი

აფეთქება ჭუბურხინჯში

რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ გალის რეგიონის სოფელ ჭუბურხინჯში აფეთქება მოხდა. ჭუბურხინჯში მცხოვრები ოთარ გოგოხიას ოჯახი ნაღმზე მაშინ აფეთქდა, როდესაც მათ პროდუქტები გასაყიდად ზუგდიდის ბაზარში გადაჰქონდათ.

აფეთქების დროს ოთხთვალაზე ექვსი ადამიანი იჯდა, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვი. აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია, ორმა დაშავებულმა კი თავად მოახერხა ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მისვლა. ოთხ მათგანს რუსმა ოკუპანტებმა ზუგდიდის რაიონში გადმოსვლის საშუალება არ მისცეს.

"საოკუპაციო ჯარი, რომელიც ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზეა, დაკავებულია მძიმე ტექნიკის შემოყვანით და ასევე მთლიანად საზღვრის პერიმეტრის დანაღმვით. მოსახლეობა თავად ცდილობს ამ ნაღმების ამოღებას. გუშინ დილით კი ოკუპანტების მიერ ჩადებულ ნაღმზე მთელი ოჯახი აფეთქდა," - აცხადებს აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის გალის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პაატა შამუგია.

ჯი-ეიჩ-ენი

რუსეთის პროკურატურა საქართველოს ქმედებებს გენოციდის კვალიფიკაციას აძლევს

რუსეთის ფედერაციის პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტი აგვისტოს მოვლენების დროს ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მიმართ საქართველოს ქმედებებს გენოციდის კვალიფიკაციას ანიჭებს. საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელის ალექსანდრე ბასტრიკინის განცხადებით, კომიტეტი ფლობს მონაცემებს, რომლის თანახმად, "ქართული მხარე ოსი ხალხის მისამართით გენოციდს ამზადებდა".

"ეს ქმედებები, რომელიც გაცილებით ადრე მზადდებოდა, გვაძლევს საფუძველს, საქართველოს არმიისა და სამხედრო ხელმძღვანელობის ქმედებებს აგრესიული ხასიათის კვალიფიკაცია მივანიჭოთ, რომელიც ოსი ხალხის განადგურებისკენ იყო მიმართული," - განაცხადა ბასტრიკინმა.

საამოძიებო კომიტეტი 2009 წლის აპრილამდე გააგრძელებს მუშაობას, რის შემდეგაც შესაბამის მასალებს რუსეთის საგარეო პოლიტიკურ უწყებას გადასცემს.

პირველი

ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტები

სახალხო დამცველი დამოუკიდებელ ჟურნალისტებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტების დაუყოვნებლივ გამოძიებას ითხოვს. საუბარია ჟურნალისტ მაკა წიკლაურსა და ირაკლი გოგუაძის მიმართ განხორციელებულ ზეწოლაზე. ჟურნალისტებმა სახალო დამცველის ოფისში სოზარ სუბართან ერთად პრესკონფერენცია გამართეს და აღნიშნეს, რომ სამართალდამცველი უწყებისების მხირდან ადგილი აქვს მათ მიმზანმიმართულ დევნას.

წიკლაურის განცხადებით, რამდენიმე ხნის წინ ზუბალაშვილების ქუჩაზე თავს დაესხნენ დაუდგენელი პირები, რის შედეგად მიიღო სხეულის მოტეხილობები, თუმცა ეს საქმე დღემდე არა არის გამოძიებული. რეაგირების გარეშე დარჩა არჩევნებისა და საპროტესტო აქციების გაშუქების დროს, მათ მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ზეწოლაზე, რა დროსაც ჩაწერილი ვიდეო მასალა და ვიდეო კამერა წაართვეს. ჯურნალისტების გამოსვლის შემდეგ სოზარ სუბარმა აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში ჟურნალისტების მიმართ ასეთი ფაქტები გახშირდა, რაც შესაბამისი რეაგირების გარეშე რჩება.

"გასულ ღამეს ორჯერ დამიკავშირდა ირაკლი გოგუაძე და დახმაება მთხოვა. იგი პოლიციამ ყოველგვარი მოტივაციის გარეშე ქუჩაში გააჩერა და შეურაცხოფა მიაყენა. სამწუხაროდ ეს არ არის პირველი შემთხვევა. ამ ტენდენციის შეჩერება შესაძლებელია ასეთი ფაქტების სასწრაფო გამოძიების გზით," - განაცხადა სოზარ სუბარმა და მაკა წიკლაურისა და ირაკლი გოგუაძის საქმეები მთავარ პროკურატურას გადაუგზავნა.

ჯი-ეიჩ-ენი

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეთა საბუთების მიღება დაიწყო

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გუშინ დაიწყო და 2009 წლის 6 იანვრამდე გაგრძელდება მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება. როგორც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში აცხადებენ, მონაწილეობის მსურველმა კანდიდატებმა უნდა წარადგინონ ორი ფოტოსურათი, ავტობიოგრაფია, დიპლომი და ნიშნების ფურცელი (დედანი და ასლი), პირადობის მოწმობა (დედნი და ასლი).

საბუთების მიღება იწარმოებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 10 საათიდან 6 საათამდე.

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება ეძლევა საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს ოცდახუთი წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის პირველი ეტაპი (ტესტური გამოცდა) ჩატარდება 2009 წლის 17 იანვარს, ხოლო მეორე ეტაპი (წერითი გამოცდა) 2009 წლის 24 იანვარს. გამოცდა ჩატარდება საერთო, სამოქალაქო და ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

ინტერპრესნიუსი

დაჩქარებული სარეგისტრაციო მომსახურება

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2008 წლის 27 დეკემბრიდან სარეგისტრაციო მომსახურება დაჩქარებული წესითაც გახდება შესაძლებელი.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ამის საფუძველი გახდა „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ" საქართველოს კანონში შესული ცვლილებები და დამატებები.

ცვლილებებისა და დამატებების შესაბამისად, მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით, აღდგა დაჩქარებული სარეგისტრაციო მომსახურება. საკანონმდებლო ცვლილებებით განისაზღვრა დაჩქარებული სარეგისტრაციო მომსახურების ახალი ვადები და საფასურის ოდენობა. უძრავ ნივთზე უფლების, უფლების შეზღუდვისა და ვალდებულების, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია – ოთხ სამუშაო დღეში მოხდება და მომასახურების ღირებულება 50 ლარი იქნება, განცხადების შემოტანის დღეს რეგისტრაციის მისაღებად მოქალაქეს 200 ლარის გადახდა მოუწევს, ერთ სამუშაო დღეში კი 150 ლარის.

მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია 10 სამუშაო დღის ვადაში – 300 ლარი, მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების, მასში ცვლილების და მისი შეწყვეტის რეგისტრაცია 3 დღის ვადაში – 30 ლარი, განცხადების შემოტანის დღეს - 200 ლარი, ერთ სამუშაო დღეში კი 150 ლარი ღირს.

თუ იპოთეკის მოწმობის გაცემის, მასში ცვლილების ან ნებისმიერი სამართლებრივი ხასიათის შენიშვნის რეგისტრაციაა საჭირო და დოკუმენტის სამ სამუშაო დღეში მომზადება გსურთ, 50 ლარი უნდა გადაიხადოთ. ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ყადაღის, მასში ცვლილებისა და მისი შეწყვეტის რეგისტრაციისთვის – 3 სამუშაო დღის ვადაში - 20 ლარია საჭირო. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ გარიგებაზე ხელმოწერის დადასტურება კი დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს, რისი ოფიციალური ღირებულებაც 5 ლარია.

უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან ამონანერის მომზადება – ერთ სამუშაო დღის ვადაში – 15 ლარი, განცხადების შემოტანის დღეს კი 50 ლარი ღირს. რაც შეეხება, მოძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან ამონაწერის მომზადებას ერთ სამუშაო დღის ვადაში - 15 ლარი.

სხვა დოკუმენტების მომზადების ვადები და ფასები კი ასეთია: საკადასტრო გეგმის მომზადება 2 სამუშაო დღეში 5 ლარი, საკადასტრო რუკის მომზადება 4 დღის ვადაში: ქაღალდზე შესრულებული ვერსია – 1 გვერდი - 10 ლარი, ელექტრონული ვერსია – 10000მ2 (1 ჰა) –ზე – 5 ლარი.

ყადაღის არსებობის შესახებ ცნობის მომზადება – ერთ დღეში 7 ლარი ღირს. მოთხოვნის მომენტისათვის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების შეზღუდვისა და ვალდებულებების, საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის ან/და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის შესახებ საჯარო რეესტრში დაცულ მონაცემებზე ინფორმაციის მომზადება – 4 სამუშაო დღის ვადაში – 10 ლარი, განცხადების შემოტანის დღეს – 30 ლარი, ერთ სამუშაო დღეში კი 20 ლარი ღირს.

ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან უძრავ ნივთზე უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება 4 სამუშაო დღის ვადაში 7 ლარი, განცხადების შემოტანის დღეს 20 ლარი, ერთ სამუშაო დღეში – 15 ლარი.

ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან საინვენტარიზაციო გეგმის მომზადება – 4 სამუშაო დღის ვადაში – 5 ლარი, განცხადების შემოტანის დღეს - 20 ლარი, ერთ სამუშაო დღეში – 15 ლარი.

ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან ცნობა-დახასიათების მომზადება – 4 სამუშაო დღეში – 5 ლარი, განცხადების შემოტანის დღეს – 30 ლარი, ერთ სამუშაო დღეში – 20 ლარი.

არქივში დაცული დოკუმენტის ასლის მომზადება – 4 სამუშაო დღის ვადაში 1 გვერდი – 0.50 ლარი, განცხადების შემოტანის დღეს დამატებით 5 ლარი. ორთოფოტოს გაცემა – 4 სამუშაო დღეში: ქაღალდზე შესრულებული ვერსია – 1 გვერდი – 10 ლარი, ელექტრონული ვერსია – 10000მ2 (1ჰა)-ზე – 5 ლარი.

საკუთარი ინფორმაცია

აფხაზური მილიციის ბრალდება

აფხაზი სეპარატისტების მტკიცებით, გალის აფხაზურმა მილიციამ 21 დეკემბერს ქართული სპეცსამსახურების მიერ გაეროს გალის ოფისის თანამშრომლის მამის გატაცების მცდელობა აღკვეთა.

აფხაზური მილიციის უფროსის ლოურენს კოღონიას მტკიცებით, 21 დეკემბერს, დაახლოებით საღამოს 9 საათზე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული სამი უცნობი, სოფელ მზიურში მცხოვრები ნუგზარ გოგოხიას საცხოვრებელ სახლში შეიჭრა და იარაღის მუქარით იგი სახლიდან გამოიყვანა, თუმცა მეზობლების მიერ ინფორმაციის დროულად მიწოდების წყალობით გალის მილიცია გამტაცებლის კვალს მალევე დაადგა.

"ყაჩაღებსა და მილიციის თანამშრომლებს შორის სროლის შედეგად გამტაცებლებმა გოგოხია მიატოვეს, ქართულ-აფხაზურ საზღვარზე მდებარე ტყის ზოლში მიიმალნენ და ქართულ მხარეს გაუჩინარდნენ," - განაცხადა კოღონიამ და აქვე განმარტა, რომ გოგოხიას ქალიშვილი გაეროს გალის ოფისის თანამშრომელია.

ამასთან, კოღონია ადგილობრივი მცხოვრების გატაცების მცდელობაში ქართული სპეცსამსახურების მონაწილეობას არ გამორიცხავს და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მომხდარზე ადექვატურ რეაგირებას მოითხოვს.

პირველი

2008 წლის 11 დეკემბრის №277 გაზეთში „24 საათი" სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ გამოცხადებულ განცხადებაში „გლობალური ფონდის" პროექტების: „აიდ/შიდსის პრევერციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში" (პროექტი: №-GEO202-G01-H-00), „აიდ/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება" (პროექტი №-GEO-607-G06-H), „DOTS სტრატეგიის განხორციელების სრულყოფა საქართველოში" (პროექტი: №-GEO-405-G03-T), „საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის სფეროში მართვის სრულყოფის ღონისძიებების გატარება" (პროექტი №-GEO-607-G05-T) და „მიღწეული შედეგების კონსოლიდაცია: მალარიას ეპიდემიის თავიდან აცილება" (პროექტი №-GEO-607-G04-M) პროგრამის ფარგლებში ტესტ-სისტემების, რეაგენტებისა და სახარჯი მასალების (სახარჯი მასალა, რეაგენტები/ტესტები კლინიკური და ლაბორატორიული კვლევებისათვის) შესყიდვის ტენდერის ჩატარების შესახებ, შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება და დამატება:

განცხადების მე-3 მუხლში (შესყიდვის ობიექტი) უნდა იყოს:

ლოტი №	შესყიდვის ობიექტის დასახელება	განზომილება (ტესტი /კომპლექტი /ცალი /ნაკრები /გრამი/ დოზა /ლიტრი)	რაოდენობა
ლოტი 1	მალარიის გამომწვევის იდენტიფიცირებისა და ადამიანის გამოსაკვლევი ტესტ-სისტემები (PCR მეთოდი), რეაგენტები, სახარჯი მასალა		
	დნმ-ის გამომყოფი სისტემის ნაკრები (DNA Mini Kit, 250)	ნაკრები	4
	გელიდან დნმ-ის გამომყოფი სისტემა (Gel Extraction Kit, 250)	ნაკრები	2
	პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (PCR) სარეაქციო არე (Master Mix Kit 1000units)	ნაკრები	2
	პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (SYBR Green PCR) სარეაქციო არე (SYBR Green PCR Kit 200X50ul)	ნაკრები	5
	პრაიმერები, ვექტორის დიაგნოსტიკისათვის	ნაკრები	1
	პრაიმერები, პარაზიტის დიაგნოსტიკისათვის	ნაკრები	1
	აბსოლუტური სპირტი, მოლეკულური კვლევებისათვის (Ethanol 200 proof, absolute)	ნაკრები	5
	რესტრიქციული ენდონუკლეაზა (Cfo I, 10,000 units/mL)	ნაკრები	5
	რესტრიქციული ენდონუკლეაზა (MspI, 20,000 units/ml, 25 000 U)	ნაკრები	2
	სინჯის გელში შესატანი სადებავი (Gel L0ading Solution)	ნაკრები	9
	მოლეკულური წონის მარკერი (50 bp DNA Ladder)	ნაკრები	2
	მოლეკულური წონის მარკერი (100 bp DNA Ladder)	ნაკრები	3
	მოლეკულური წონის მარკერი (1kb DNA Ladder)	ნაკრები	2
	აგაროზა (Agarose for routine use)	ნაკრები	2
ლოტი 2	ლაბორატორიული რეაგენტები, სახარჯი მასალები		
	გიმზას სადებავი (გიმზა-რომანოვსკი, 500 მლ)	ბოთლი	45
	იმერსიული ზეთი (დაფასოებული, საწყვეთური ბოთლი)	მილი ლიტრი	12500
ლოტი 3	ექსპრეს-ტესტი (ანტი-HIV 1/2), ერთ ანალიზზე, აივ ინფექციაზე სკრინინგული კვლევებისთვის, ტესტ-კასეტა	ტესტი	2000

მოლდოვასა და დნესტრისპირეთის ლიდერების მორიგი შეხვედრა

დღეს მოლდოვას პრეზიდენტი ვლადიმირ ვორონინი და სეპარატისტული დნესტრისპირეთის ლიდერი იგორ სმირნოვი ტირასპოლში ერთმანეთს ხვდებიან. არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, მხარეებმა შეხვედრის დღის წესრიგი უკვე შეათანხმეს.

როგორც კიშინიოვში განაცხადეს, მოლდოვა სერიოზულად არ განიხილავს ტირასპოლის მიერ შემოთავაზებულ შეთანხმებას "მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ", რომელიც გულისხმობს მოლდოვასა და დნესტრისპირეთს შორის ურთიერთობების აგებას ერთმანეთის სუვერენიტეტის პატივისცემის საფუძველზე. ვლადიმირ ვორონინის თქმით, შეხვედრის მსვლელობისას ის იგორ სმირნოვს მოლდავური მხარის მიერ მომზადებულ "დნესტრისპირეთის ავტონომიის სტატუსის შესახებ კანონის" პროექტს წარუდგენს.

მოლდოვასა და დნესტრისპირეთის ლიდერების წინა შეხვედრა (პირველად შვიდწლიანი პაუზის შემდეგ) ქალაქ ბენდერიში მიმდინარე წლის 11 აპრილს დახურულ კარს მიღმა გაიმართა. აღნიშნულ შეხვედრაზე რაიმე მნიშვნელოვანი სახის გადაწყვეტილება არ მიღებულა.

ორი ლიდერის მორიგი შეხვედრა სექტემბრის ბოლოსთვის იყო დაგეგმილი, თუმცა ფორმატის შესახებ არსებული უთანხმოებების გამო ჩაიშალა. მოლდოვას პრეზიდენტი ცდილობდა, მოლაპარაკებები "5+2" ფორმატში (მოლდოვა, დნესტრისპირეთი, უკრაინა, რუსეთი და ეუთო შუამავლების რანგში და აშშ და ევროკავშირი დამკვირვებლების სტატუსით) განახლებულიყო და მონაწილეებს დნესტრისპირეთის პრობლემის დარეგულირების შესახებ მოლდოვას პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები განეხილათ.

აღსანიშნავია, რომ დნესტრისპირეთის პრობლემის დარეგულირებაზე მოლაპარაკებები ბოლო წლებში სწორედ "5+2" ფორმატში მიმდინარეობდა, თუმცა 2006 წლის თებერვლის მიწურულს სეპარატისტული დნესტრისპირეთის სურვილით შეწყდა. დაპირისპირებულ მხარეებს შორის დიალოგის აღდგენა რუსეთის დახმარებით მხოლოდ ორი წლის შემდეგ მოხერხდა.

ვორონინის წინადადებაზე სმირნოვი აცხადებდა, რომ "მოლაპარაკებების წარმოება მხოლოდ თანასწორუფლებიანობის საფუძველზეა შესაძლებელი" და ოფიციალურმა კიშინიოვმა მოლდოვასა და დნესტრისპირეთს შორის "მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას" ხელი უნდა მოაწეროს.

შედეგად, მორიგი შეხვედრა იმ მიზეზით ჩაიშალა, რომ მხარეებმა შეხვედრის ადგილი ვერ შეათანხმეს. რამდენიმე ხნის წინ დნესტრისპირეთის არაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოლდავურ მხარეს შეხვედრის გამართვა 11 დეკემბრისთვის შესთავაზა, თუმცა კიშინიოვი ამ წინადადებას იმ უბრალო მიზეზის გამო არ დათანხმდა, რომ პრეზიდენტი ვორონინი მოსკოვში რუსეთის პატრიარქ ალექსი მეორის დაკრძალვაზე იმყოფებოდა. მოლდოვას რეინტეგრაციის სამინისტრომ პასუხად მეორე მხარეს შეხვედრის გადატანა 17 დეკემბრისთვის შესთავაზა, თუმცა, ახლა უკვე სეპარატისტულმა დნესტრისპირეთმა განაცხადა უარი, მიზეზად კი ის დასახელდა, რომ ამ დღეს დნესტრისპირეთის 2009 წლის ბიუჯეტის კანონის განხილვა უნდა შემდგარიყო.

საბოლოო ჯამში, მხარეები შეხვედრის თარიღად 24 დეკემბერზე შეთანხმდნენ, თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვლადიმირ ვორონინმა და იგორ სმირნოვმა ამჯერად რაიმე სერიოზული გადაწყვეტილების მიღება მოახერხონ.

დაუყოვნებელი და ღრმა რეფორმები აშშ-ს შეიარაღებულ ძალებში



ექსპერტები პენტაგონს ხარჯების შემცირებას ურჩევენ.

აშშ-ს შეიარაღებული ძალები დაუყოვნებელ და ღრმა რეფორმებს საჭიროებს, - წერს ამერიკული გამოცემა "ნიუ იორკ თაიმსი".

"2001 წლიდან ამერიკის თავდაცვის უწყების ძირითადი ხარჯები 40 პროცენტით გაიზარდა და ეს დამატებითი დიდი თანხების გაუთვალისწინებლად, რაც ყოველწლიურად ავღანეთსა და ერაყში საომარი ოპერაციების წარმოებისთვის სერიოზული დებატებისა და ანალიზის გარეშე გამოიყოფა," - წერს გაზეთი.

სტატიის ავტორის აზრით, ასეთი "სიუხვე" პენტაგონის ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს, თავიდან აიცილოს რეფორმები, რომლებიც მიმართული იქნება თავდაცვითი სისტემის ოპტიმიზაციასა და ხარჯების შემცირებაზე. ასევე აშშ ითხოვს "უახლეს შეიარაღებას და სამხედროების მომზადებას, რომლებმაც იარაღი და "ცივი ომის" დოქტრინა უნდა ჩაანაცვლონ".

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აშშ-მ უნდა შეაჩეროს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განვითარების ნაადრევი გეგმა, რაზეც პენტაგონი მომავალი წლის განმავლობაში 9 მილიარდი დოლარის დახარჯვას გეგმავს. ისინი ასევე სთავაზობენ "F-22" ტიპის გამანადგურებლის წარმოების შეჩერებას და "F-35" ტიპის მრავალმიზნიანი გამანადგურებლის გამოყენებას. ექსპერტების აზრით, უარი უნდა ითქვას "Zumwalt" კლასის ესკადრონული ნაღმმზიდების მშენებლობაზე, რომლებიც თანამედროვე პირობებში ქვეყნის საზღვაო-სამხედრო ძალებს არ სჭირდება. ამ პროექტების შემცირება ყოველწლიურად 3 მლრდ დოლარის ეკონომიას ნიშნავს.

გამოცემა ასევე აღნიშნავს, რომ ამ პროცესს განსაკუთრებით წაადგებოდა მოლაპარაკებების წარმოება ბირთვული იარაღის მნიშვნელოვნად შემცირებისა და სამხედრო-მოსამსახურეების რაოდენობის შემცირების შესახებ.

ექსპერტების აზრით, ყველა წარმოდგენილი რეფორმა ყოველწლიურად ხარჯების 20-25 მლრდ დოლარით დაზოგვას შეუწყობდა ხელს. ეს სახსრები კი სახმელეთო ჯარების რაოდენობის გაზრდას, განიარაღებას და ეროვნული გვარდიისა და სარეზერვო ჯარების განახლებას მოხმარდებოდა.

არნოლდ შვარცნეგერს აშშ-ს პრეზიდენტობა სურს

კალიფორნიის გუბერნატორმა არნოლდ შვარცნეგერმა ტელეარხ "სი-ბი-ეს"-თან ინტერვიუში აშშ-ს პრეზიდენტობის სურვილი გამოთქვა. პოლიტიკოსისა და მსახიობის სურვილი რომ ახდეს, აშშ-ს კონსტიტუციაში ცვლილებები უნდა შეიტანონ. გადაცემა "60 წუთის" კორესპონდენტმა არნოლდს კითხვა დაუსვა: "კონსტიტუცია რომ შეეცვალათ, ხომ ისურვებდით ამერიკის პრეზიდენტობას?" მსახიობმაც პირდაპირ ეთერში თანხმობა განაცხადა.

აშშ-ს ძირითადი კანონის თანახმად, შვარცნეგერს, როგორც ავსტრიაში დაბადებულს, რომელმაც ამერიკის მოქალაქეობა 1983 წელს მიიღო, ეკრძალება საპრეზიდენტო მარათონში ჩართვა.

მედიანიუსი

ბრიტანელი ჯარისკაცები თურმე ხშირად თვრებიან

ბრიტანელ ჯარისკაცთა 58 პროცენტი ალკოჰოლდამოკიდებულია და იმდენად ხშირად სვამს სპირტიან სასმელს, რომ საკუთარ ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს, - წერს "დეილი ტელეგრაფი" ბრიტანეთის ჯანდაცვის სამინისტროს მოხსენებაზე დაყრდნობით.

თავად სამხედროებს მიაჩნიათ, რომ მათ გალოთებაში არმიის კულტურაა დამნაშავე, რაც სმისკენ უბიძგებს ჯარისკაცს. გამოკითხულთა მესამედმა აღიარა, რომ სიმთვრალეში შარშან ან თავი დაიზიანეს, ან გარშემომყოფებზე მიიტანეს იერიში. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ჯარისკაცთა შორის ალკოჰოლის ჭარბი გამოყენება ნარკოტიკების გამოყენების რისკფაქტორებსაც ზრდის. აქვე შეგახსენებთ, რომ რიგით ბრიტანელებში ალკოჰოლდამოკიდებულია მოსახლეობის მხოლოდ ექვსი პროცენტი.

მედიანიუსი

ინდოეთში კუდიანობის ბრალდებით 50 ქალს საჯაროდ სცემეს

ინდოეთის პოლიციამ ჩჰატირსგარჰის შტატში 50 ქალის ცემის ფაქტის გამოძიება დაიწყო. შტატის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებლებმა რამდენიმე ქალი კუდიანობის ბრალდებით სახლებიდან გამოიყვანეს, თმები შეკრიჭეს და ჯოხებით სახალხოდ სცემეს. ეს კი მათ ადგილობრივი რელიგიური მოძღვრის შთაგონებით ჩაიდინეს, რადგან ეს უკანასკნელი სოფლელებს არწმუნებდა, რომ მხოლოდ ამ გზით დაიცავდნენ თავს ავი სულებისგან.

ინდოეთში ყოველწლიურად ათეულობით "კუდიანს" ხოცავენ. "განწმენდის ცერემონია", ძირითადად, ისეთ სოფლებში ხდება, სადაც განათლების სისტემა თითქმის განუვითარებელია.

ჩჰატირსგარჰის შტატში, მართალია, ქალების მკვლელობის ფაქტები ცოტაა, მაგრამ წლიურად ასამდე "კუდიანს" აწამებენ ან ხოცავენ შავ მაგიასთან კავშირის ბრალდებით.

2005 წელს შტატში "კუდიანებზე მონადირეობის" ამკრძალავი კანონი გამოვიდა, რომლის მიხედვითაც დამრღვევებს 5 წლამდე ემუქრებათ თავისუფლების აღკვეთა, თუმცა მაგიაში დადანაშაულებული ქალების წამება და ხოცვა, სტატისტიკის თანახმად, არ შემცირებულა.

მედიანიუსი

ფინანსური კრიზისის გამო სამსახურს 25 მილიონი ადამიანი დაკარგავს

2010 წლისთვის მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო სამსახურებიდან გათავისუფლებულთა რაოდენობამ, შესაძლოა, 25 მილიონ ადამიანს მიაღწიოს. ასეთი განცხადება გააკეთა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პრეზიდენტმა ანხელ გურრიამ.

მისი თქმით, მხოლოდ ორგანიზაციაში შემავალ ქვეყნებში უმუშევართა რაოდენობამ 8-9 მილიონით იმატა. ბოლო მონაცემებით, სამშენებლო სექტორი ზარალდება. გურრიას განცხადებით, ევროპის ქვეყნებმა ეკონომიკის მხარდასაჭერად იმდენივე უნდა გაიღონ, რამდენსაც ჩინეთი, იაპონია და აშშ ხარჯავენ. ხსენებულ ორგანიზაციაში მსოფლიოს 30 ქვეყანა შედის.

რუსეთში წელს 97 ტერაქტის თავიდან აცილება შეძლეს

რუსეთში წელს 97 ტერაქტის თავიდან აცილება შეძლეს, - იუწყება რადიო "ეხო მოსკვი".

აღნიშნულ სტატისტიკას "ფე-ეს-ბე"-ს ხელმძღვანელი ბორტნიკოვი აქვეყნებს.

მისი ინფორმაციით, ტერორისტები ცდილობენ, მასობრივი განადგურების იარაღის მოპოვება მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს.

"ფე-ეს-ბე" ტერორისტებს ნაციონალისტური და ექსტრემისტული ხასიათის ძალადობრივი დანაშაულებების ჩადენის შემთხვევაში მკაცრი ზომებით რეაგირებას ჰპირდება," - აღნიშნავს საინფორმაციო სამსახური.

ინტერპრესნიუსი

ეგვიპტეში ავტოკატასტროფის შედეგად ექვსი რუსი ტურისტი დაიღუპა

ეგვიპტეში ექვსი რუსი ტურისტი დაიღუპა და 17-მა სხეულის დაზიანებები მიიღო საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად, - იუწყება სააგენტო "რია.ნოვოსტი".

დაშავებულები საერთაშორისო ჰოსპიტალ "შარმ ელ-შეიხში" გადაიყვანეს.

"ავარია, სავარაუდოდ, ცუდი ამინდის გამო მოხდა, ავტობუსი გადაყირავდა, როცა ტურისტები იერუსალიმიდან ბრუნდებოდნენ. მძღოლი გადარჩა. დაღუპულებს შორის 5 ქალი და ერთი მამაკაცია," - იტყობინება სააგენტო.

ინტერპრესნიუსი

კარპატისპირეთი რუსეთს დამოუკიდებლობის აღიარებას სთხოვს

კარპატისპირელი რუსინები დამოუკიდებლობას ითხოვენ.

კარპატისპირელმა რუსინებმა ოფიციალურ მოსკოვს კარპატისპირეთის ოლქის უკრაინისგან დამოუკიდებლობის აღიარების თხოვნით მიმართეს. ასეთ ნაბიჯზე წასვლა რუსინებმა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც ოფიციალურმა კიევმა კიდევ ერთხელ დატოვა უყურადღებოდ მათი მოთხოვნა უკრაინის შემადგენლობაში ავტონომიის მინიჭების შესახებ.

"ჩვენ ძალიან დიდხანს ვცდილობდით ავტონომიის სტატუსის მოპოვებას. ბოლო წლების განმავლობაში თითქმის ყოველთვე ვთხოვდით ქვეყნის ხელისუფლებას განსაკუთრებულ სტატუსს. ამ ხნის მანძილზე ყრუც კი შეისმენდა ჩვენს თხოვნას," - განაცხადა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა პიოტრ გეცკომ "როსიისკაია გაზეტასთან" ინტერვიუში.

"ნოვი რეგიონის" თანახმად, რუსების, უკრაინელებისა და ბელარუსების შემდეგ რუსინები რიცხოვნობით მეოთხე აღმოსავლური სლავური ჯგუფია, რომლებიც, ძირითადად, უკრაინის კარპატისპირეთის ოლქში ცხოვრობენ. მათ თავი სხვა ერად მიაჩნიათ და თვითგამორკვევის უფლების მოსაპოვებლად იბრძვიან.

სამხრეთ ფედერალური უნივერსიტეტის უკრაინისტიკის ცენტრის დირექტორის, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორ ედუარდ პოპოვის თქმით, კარპატისპირეთის რუსს აქვს დამოუკიდებელი სახელმწიფოსა და ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით არსებობის გამოცდილება. სამართლებრივი სუბიექტის სტატუსს იგი 1919 წლიდან ფლობდა, ხოლო შემდეგ ნებაყოფლობით შეუერთდა ჩეხეთის შემადგენლობას ავტონომიური რესპუბლიკის ფორმით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შეთანხმების საფუძველზე კარპატისპირეთის რუსი უკრაინის იმიერკარპატისპირეთის ოლქს შეუერთდა. ედუარდ პოპოვის თქმით, მაშინ რუსინები სხვა ვარიანტს ემხრობოდნენ ანუ სურდათ საბჭოთა კავშირში მე-16 საკავშირო რესპუბლიკად ყოფნა, მაგრამ ტოტალიტარული ეპოქის პირობებში მათი მოთხოვნა უპასუხოდ დარჩა.

1991 წლის დეკემბერში, უკრაინის დამოუკიდებლობის რეფერენდუმთან ერთად, კარპატისპირეთის სახალხო პლებისციტიც ჩატარდა, სადაც მონაწილეთა 78 პროცენტმა მხარი დაუჭირა ოლქისთვის ავტონომიის სტატუსის მინიჭებას. თუმცა, ქვეყნის ხელისუფლებამ ამ კენჭისყრის შედეგებს ყურადღება არ მიაქცია. შედეგად კი რუსინებმა არა მარტო ავტონომიის მიღების შანსი გაუშვეს ხელიდან, არამედ უკრაინის ნაციონალური უმცირესობის სტატუსიც ვერ მოიპოვეს.

პოპოვის თქმით, რუსინები, უკრაინის სხვა ეროვნული უმცირესობების მსგავსად, ძალადობრივ უკრაინიზაციას განიცდიან, რაზეც ჩივიან უნგრელები, რუმინელები და რუსები. თუმცა, რუსინებს არც იმის უფლება აქვთ, რომ თავიანთი ისტორიული სახელი ჰქონდეთ, რაც ეთნონიმ "უკრაინელზე" რამდენიმე საუკუნით ძველია.

25 ოქტომბერს მუკაჩევოში (უკრაინის კარპატისპირეთის ოლქი) რუსინების მეორე ევროპული კონგრესი გაიმართა, რომელზეც ქვეყნის შემადგენლობაში კარპატისპირეთის რუსის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა გამოცხადდა და დღის წესრიგში დადგა ოფიციალური კიევისთვის 1 დეკემბრამდე რესპუბლიკის ავტონომიურობის მოთხოვნის წარდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსინებმა ქვეყნის ფარგლებს გარეთ თვითგამორკვევის უფლების მოპოვებისთვის ბრძოლის პირობა დადეს.

პოპოვის განცხადებით, "საპასუხოდ უკრაინამ რუსინების მოძრაობის ლიდერების წინააღმდეგ რეპრესიების ამოქმედება ამჯობინა."

"საქმე ისაა, რომ უკრაინელ ნაციონალისტებს შეუძლიათ ანტინაციონალისტური და თვით უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთის ოლქის რუსების სეპარატისტული მისწრაფების გაგება, მაგრამ იგივეს არ დაუშვებენ უკრაინის უკიდურეს დასავლეთ ოლქში," – დაასკვნა ექსპერტმა.

პიოტრ გეცკოს განცხადებით, ავტონომიაში რესპუბლიკის გარკვეული ეკონომიკური თვითმყოფადობაც იგულისხმება.

"საქმე რუსინებში კი არა - გაზსადენშია. კარპატისპირეთი უკრაინის ბიუჯეტის მეოთხედს იძლევა. ბუნებრივი გაზის მიწოდებაში ლომის წილი კარპატისპირეთის ოლქის ტერიტორიაზე მოდის. ჩვენ, ბალტიისპირეთთან შედარებით, გამავლობის კოეფიციენტი - სამჯერ, ხოლო მეზობელ ქვეყნებთან შედარებით - ორჯერ მეტი გვაქვს," – განაცხადა გეცკომ რუს ჟურნალისტებთან საუბარში.

ივანოვი უკრაინას სავიზო რეჟიმით ემუქრება

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში პოსტსაბჭოთა ქვეყნების - საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანების პერსპექტივის შესახებ ჯერჯერობით უშედეგო ხანგრძლივ დისკუსიებს რუსეთის მხრიდან მუქარა მოჰყვა. რუსეთის ფედერაციის პირველი ვიცე-პრემიერი, ნატო-ში ინტეგრაციის შემთხვევაში, უკრაინას რუსეთთან სავიზო რეჟიმის დაწესებით დაემუქრა.

"მთელი ჩემი მდიდარი ფანტაზიის მიუხედავად, უკრაინა ნატო-ს წევრად ვერ წარმომიდგენია, რადგან ეს ავტომატურად გამოიწვევს სავიზო რეჟიმის დაწესებას," – აღნიშნა რუსმა ვიცე-პრემიერმა.

ადრე სერგეი ივანოვი აცხადებდა, რომ ნატო-ში უკრაინის გაწევრიანების შემთხვევაში, სავიზო რეჟიმის დაწესების თავიდან აცილება შეუძლებელი იქნებოდა, რადგან "უკრაინას მის შემოღებას ჩრდილოატლანტიკური ალიანსი თავად აიძულებდა." სევასტოპოლის 225 წლის იუბილეზე ივანოვმა აღნიშნა, რომ მოვლენების ასეთი განვითარება რუსულ და უკრაინულ სამხედრო-საწარმო კომპლექსებს შორის განხეთქილების მიზეზადაც იქცევა.

"ვიზების აუცილებლობა მიგვიყვანს იქამდე, რომ ათობით მილიონ ადამიანს პრობლემები შეექმნება, ხოლო შედეგად, ძალიან მეეჭვება, რომ უკრაინაში გაიზარდოს რუსი ტურისტების რაოდენობა ან ისინი ამერიკელმა, ინგლისელმა თუ გერმანელმა ტურისტებმა ჩაანაცვლონ," – განაცხადა რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერმა.

სევასტოპოლის იუბილეზე სერგეი ივანოვის სიტყვების კომენტირებისას უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვასილი კირილიჩმა დარწმუნებით განაცხადა, რომ ნატო-ში უკრაინის გაწევრიანებას არაფერი აქვს საერთო რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის დაწესებასთან. მან რუსეთის ფედერაციის პირველი ვიცე-პრემიერის განცხადებას "არაპროფესიონალური" უწოდა.

დეკემბერში უკრაინისა და საქართველოსთვის ალიანსის წევრობის სამოქმედო გეგმის მინიჭებაზე უარის თქმა ივანოვმა ასე განმარტა: **"ევროპელები მიხვდნენ, რომ საქართველო ავანტიურაზე წავიდა და დასავლეთის მხრიდან პასუხმაც არ დააყოვნა – უარი თქვეს."** რუსეთს არ შეუძლია, მომავალში ამ ქვეყნების ნატო-ში გაწევრიანებას ხელი შეუშალოს, მაგრამ, ივანოვის განცხადებით, "საქართველოს ნატო-ში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარეშე მიიღებენ."

რაც შეეხება 2017 წელს შავი ზღვის ფლოტისთვის იჯარის გაგრძელებაზე უკრაინის მხრიდან შესაძლო უარს, რუსეთის პირველი ვიცე-პრემიერის აზრით, ოფიციალური მოსკოვი ყველაფერს გააკეთებს, რათა იჯარის ვადა გააგრძელოს.

სერგეი ივანოვმა გამოსვლისას კალინინგრადში "ისკანდერის" ტიპის რაკეტების განთავსების რუსულ გეგმებზეც ისაუბრა.

"აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის მესამე რაიონი არ იარსებებს, ისევე როგორც არ იქნება გათავსებული "ისკანდერები" რუსეთის უკიდურეს დასავლეთ რეგიონში. ლეგენდები იმის შესახებ, რომ ეს რაიონი ჩრდილოკორეული და ირანული რაკეტების საწინააღმდეგოდ იქმნება, სრული აბსურდია," – განაცხადა სერგეი ივანოვმა.

რევიუ

მსოფლიო სცენის მბრძანებლები

ენდრიუ ლოიდ უებერი ბოლო ათწლეულის ყველაზე გავლენიანი ფიგურაა

როგორც წლის დასასრულს ხდება ხოლმე, მსოფლიოს წამყვანი გამოცემები ამჯერადაც ასახელებენ სხვადასხვა სფეროს ყველაზე გავლენიან პიროვნებებს. ბრიტანულმა გაზეთებმა ათასობით რესპონდენტის გამოკითვხის შედეგად დაასკვნეს, რომ ენდრიუ ლოიდ უებერი არა მხოლოდ წლის, არამედ უკანასკნელი ათწლეულის მსოფლიო სცენის ყველაზე გავლენიანი ფიგურაა. წინა წლებში კი ინგლისელ კომპოზიტორს ექვსჯერ ეკავა ამ გამოკითხვის პირველი ადგილი, ასე რომ ლოგიკურია, რომ ის დეკადის გავლენიან მოღვაწედაც დაასახელეს.

ლოგიკურია ისიც, რომ რესპონდენტებმა სცენის ყველაზე გავლენიან პიროვნებად სწორედ ის აღიარეს. თავად განსაჯეთ - უებერი უკვე 30 წელზე მეტია მიუზიკლების უბადლო ავტორადაა დასახელებული, ხოლო მისი ნაწარმოებების მიხედვით დადგმული მიუზიკლები ან გადაღებული ფილმები უზარმაზარი წარმატებით სარგებლობს.

ენდრიუ ლოიდ უებერი 1948 წელს უესმინსტერის სააბატოს ორღანისტისა და ფორტეპიანოს პედაგოგის ოჯახში დაიბადა, ამიტომ სულაც არაა გასაკვირი, რომ მან თავისი ცხოვრება მუსიკას დაუკავშირა და ამ მხრივ წარმოუდგენელ წარმატებასაც მიაღწია. უებერი სულ რაღაც 19 წლის იყო, როდესაც პირველი სერიოზული ნაწარმოები დაწერა - "იოსები და მისი საოცარი ფერადი მოსასხამი", რომლის ლიბრეტოს ავტორიც ტიმ რაისი იყო. სწორედ რაისთან ერთად მუშაობდა კომპოზიტორი თავის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და ალბათ საუკეთესო როკ-ოპერაზე "იესო ქრისტე - სუპერვარსკვლავი", მოგვიანებით კი "ევიტაზე". მათ მხოლოდ ამ სამ ნაწარმოებზე იმუშავეს ერთად, "ევიტას" გამოსვლიდან რამდენიმე თვეში ეს არაჩვეულებრივი ტანდემი დაიშალა, თუმცა ამ მიუზიკლის ორიგინალური მუსიკისა და ტექსტისთვის ორივემ მიიღო "ოსკარი".

1981 წელს ენდრიუ ლოიდ უებერმა ნობელის პრემიის ლაურეატ, პოეტ ტომას ელიოტის ტექსტის მიხედვით ახალი მიუზიკლი "კატები" დაწერა. აღსანიშნავია, რომ ამ მიუზიკლის მიხედვით 1982 წელს დადგმული ბროდვეის შოუ 2001 წლამდე წარმატებით იმართებოდა, რაც ერთგვარ რეკორდსაც წარმოადგენს. ბროდვეიზე უებერის თითქმის ყველა ნაწარმოებია დადგმული – ზემოთ ჩამოთვლილი მიუზიკლების გარდა მათ შორისაა "ოპერის აჩრდილიც". ბროდვეის გარდა ენდრიუ ლოიდ უებერის მუსიკა კინოშიც უყვართ. "იესო ქრისტე სუპერვარსკვლავი", "ევიტა" და "ოპერის აჩრდილი" საკმაოდ წარმატებითაა ეკრანიზებული.

ბოლო ათწლეულის მსოფლიო სცენის ყველაზე გავლენიანი ადამიანების სიაში მეორე ადგილზე პროდიუსერი კამერონ მაკინტოში გავიდა. მესამე ადგილი ერგო ლონდონის თეატრს "ამბასადორის" მფლობელ ჰოვარდ პანტერს, ხოლო მის მომდევნო პოზიციაზეა ასევე თეატრალური პროდიუსერი დევიდ იენი.

ნიკოლ კიდმანი კინოდან მიდის

ნიკა ესებუა

ავსტრალიელმა მსახიობმა ნიკოლ კიდმანმა WorstPreviews-თან ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ აღარ გეგმავს ფილმებში თამაშს და მთელი თავისი დროისა და ყურადღების დათმობას ოჯახისთვის აპირებს. "კინოში გადაღება აღარ მაინტერესებს, - განაცხადა მსახიობმა ინტერვიუში, - მესმის, რომ ჩემი მხრიდან მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება უცნაურად ჩანს, მაგრამ ეხლა, 41 წლის ასაკში, ტენესიში ჩემს ბავშვთან და მეუღლესთან ერთად შესანიშნავად ვგრძნობ თავს. ჩემში აღარ არის მწველი სურვილი ვიყო დაკავებული ძველი საქმით."

ინტერვიუს ბოლოს კიდმანმა დაამატა, რომ არ აპირებს საბოლოოდ კინოდან წასვლას, უბრალოდ ცხოვრების ამ ეტაპის გატარებას თავის ოჯახთან ერთად გეგმავს.

ბოლო წლებში ნიკოლ კიდმანს საშინლად არ უმართლებდა, უფრო სწორად სამართლიანი ვიქნებოდით, თუ ვიტყოდით, რომ უფრო იმ ფილმის პროდიუსერებს არ უმართლებდათ, სადაც ოსკაროსანი მსახიობი თამაშობდა. ბოლო წლებში გამოსული ყველა მხატვრული ფილმი ავსტრალიელი მსახიობის მონაწილეობით აშშ-ს გაქირავებაში "ჩავარდა" და მხოლოდ დანარჩენი მსოფლიოს მაშტაბით მოახერხა ბიუჯეტში გამოყოფილი თანხის ამოღება, რაც ნამდვილად არაა კარგი შედეგი. 2008 წელს გამოსულმა ბლოკბასტერმა "ოქროს კომპასმა" კინოკომპანია "ნიუ ლაინ სინემა" გაკოტრებამდე მიიყვანა და იშულებული გახდა კინო ინდუსტრიის გიგანტს "უორნერ ბრაზერს" შეერთებოდა. რამდენიმე კვირის წინ კი გამოვიდა ბაზ ლურმანის ფილმი "ავსტრალია", სადაც კიდმანს პარტნიორობას ჰიუ ჯეკმანი უწევს. ფილმმა კრიტიკოსების საშინელი რეცენზიები დაიმსახურა და 130 მილიონიანი ბიუჯეტით ჯერჯერობით მხოლოდ 55 მილიონი დოლარი მოაგროვა.

ნიკოლ კიდმანი ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობია მსოფლიოში. შეგახსენებთ, რომ არც ისე დიდი ხნის წინ ჟურნალმა "ფორბსი" კიდმანი ჰოლივუდის ზედმეტად დაფასებულ მსახიობებში პირველ ადგილზეც გაიყვანა.

როგორც ჩანს უკანასკნელი ფილმი რომელსაც კიდმანის მონაწილეობით ვიხილავთ, იქნება რობ მარშალის მიუზიკლი "ცხრა". ფედერიკო ფელინის "8 1/2-ის" რიმეიკი, სადაც მას პარტნიორობას გაუწევენ ოსკაროსანი დენიელ დეი ლუისი, პენელოპა კრუზი, ჯუდი დენჩი, სოფი ლორენი და ა.შ.

ჭაბუა ამირეჯიბს დავით გურამიშვილის სახელობის პრემია გადაეცა

ცნობილ ქართველ მწერალს ჭაბუა ამირეჯიბს დავით გურამიშვილის სახელობის პრემია გადაეცა. იგი ამ პრემიის ლაურეატი განსაკუთრებული ჰუმანიტარული ღვაწლისათვის გახდა.

ეს პრემია დავით გურამიშვილის საზოგადოებამ 2007 წელს დააარსა და პირველად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს გადასცა. პრემია 52 გრამიანი ბაჯაღლო ოქროსაგან შედგება და ძვირფასი თვლებითაა მოჭედილი. თავად მედალიონზე კი, ტიხრული მინანქრით დავით გურამიშვილი არის გამოსახული.

ჭაბუა ამირეჯიბს დავით გურამიშვილის საზოგადოების წევრებმა პრემია სახლში მიუტანეს. მათი განცხადებით, ის, რომ ეს პრემია ბატონ ჭაბუას გადაეცა, იმის დასტურია, რომ იგი მხოლოდ საზოგადოების დამსახურებული და უწარჩინებულესი წევრების ხვედრია.

პოეტ რატი ამაღლობელის განმარტებით, გურამიშვილის სახელობის ჯილდო მის ლაურეატებს იმ ფასეულობებისათვის გადაეცემათ, რომლებსაც ისინი მთელი თავიანთი ცხოვრების განმავლობაში ახორციელებენ.

მედიანიუსი

კონსერვატორიაში კამერული მუსიკის კონცერტი გაიმართა

თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში ფესტივალ "საახალწლო მუსიკალური შეხვედრების" ფარგლებში კამერული მუსიკის კონცერტი გაიმართა.

კონცერტში მონაწილეობდნენ ბენჯამინ მარკის გილმორი (ვიოლინო, დიდი ბრიტანეთი) და ხატია ბუნიათიშვილი (ფორტეპიანო).

საღამოზე შესრულდა ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის სონატა სი-ბემოლ მაჟორი №32, K454 შუბერტის სონატა სოლ მინორი D408 და ფრანკის სონატა ლა მაჟორი.

ბენჯამინ მარკის გილმორი 1987 წელს დაიბადა. მუსიკოსი სწავლობდა მენუჰინის სკოლაში, სადაც ხშირად ასრულებდა კამერულ მუსიკას. 2005 წელს გილმორმა სწავლა განაგრძო ვენის კონსერვატორიაში. ის ხშირად მართავს კონცერტებს ინგლისსა და საფრანგეთში. გილმორი ინტენსიურად მუშაობს თავის ბაბუასთან, ცნობილ დირიჟორთან, ლევ მარკიზთან, ცნობილ მუსიკოსებთან, ნატალია გუტმანთან, ლიზა ლეონსკაიასთან, ლიზა და დმიტრი ფერშტმანებთან, გავრილ ლიპკინდთან და სხვებთან. მუსიკოსი თანამშრომლობს ასევე ცნობილ კომპოზიტორებთან, გევინ ბრაიარსთან და გია ყანჩელთან.

ხატია ბუნიათიშვილი თბილისში 1987 წელს დაიბადა. 2004 წელს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში. ამჟამად ხატია ბუნიათიშვილი ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტია. ხატია ბუნიათიშვილს 1999 წლიდან არაერთი კონცერტი გაუმართავს ავსტრიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, დანიაში, რუსეთში, უკრაინაში, ისრაელსა და აშშ-ში.

ჯი-ეიჩ-ენი

ბრიტანეთის მთავრობამ ეგვიპტის ელჩს ფარაონის ქანდაკების თავი გადასცა

ეგვიპტის XVIII დინასტიის ფარაონის ამენჰოტეპ III-ის ქანდაკების თავი ბრიტანეთის მთავრობამ ლონდონში ეგვიპტის ელჩს გადასცა. ქანდაკების ეს ფრაგმენტი ეგვიპტის ტერიოტრიიდან 1990 წელს ჯონათან ტოლკი-პერიმ გაიტანა, რომელიც რესტავრატორი და კონტრაბანდისტია, - წერს The New York Times.

ტოლკი-პერი 1997 წელს მოპარული ხელოვნების ნიმუშების გაყიდვის გამო გაასამართლეს. 1999 წელს ფარაონის თავი და სხვა არტეფაქტები ლონდონის პოლიციამ აღმოაჩინა. ამ აღმოჩენის მფლობელის ვინაობას კიდევ რამდენიმე წელიწადს ადგენდნენ.

2008 წლის სექტემბერში შვეიცარიამ გამოაცხადა, რომ ეგვიპტეს ამენჰოტეპის III-ის ქანდაკების თავს დაუბრუნებდა. ეს თავის ცნობილია როგორც "ფარაონის თვალი". ის 'ჯერ კიდევ 1972 წელს ლუქსორში ხანძრის დროს მოიპარეს და არტეფაქტმა მრავალი მფლობელი შეიცვალა, სანამ ბაზელის მუზეუმში მოხვდებოდა.

ამენჰოტეპ III ეგვიპტეს ჩვენს ერამდე XIV საუკუნეში მართავდა და სახელი გაითქვა როგორც მშენებელმა. ფარაონის 200-ზე მეტი ქანდაკებაა შემორჩენილი.

ჯი-ეიჩ-ენი

რობერტ სტურუამ პედაგოგობა გადაწყვიტა

სიახლე მათთვის, ვისაც სურს მაყურებლამდე "ამბის მიტანის ხელოვნებას" დაეუფლოს

თამარ კიკნაველიძე

ხატია ბუნიათიშვილის ფოტო

მოდით, საკუთარ თავს მცირე გამოკითხვა ჩავუტაროთ: გავიხსენოთ, უახლოეს წარსულში, გუშინწინ, იმის წინ და ა.შ., ახალგაზრდა რეჟისორის მიერ დადგმული ერთი სპექტაკლი, რომელშიც ის სიუჟეტს ანუ ამბავს ოსტატურად გვიყვება... თქვენი არ ვიცი, მაგრამ პირადად მე ახლახან ნანახ წარმოდგენებზე იგივეს ვერ ვიტყვი!

როგორც ჩანს, რეჟისორთაგან მაყურებლამდე "ამბის მიტანის ხელოვნებას" ერთეულები ფლობენ, რაც სერიოზულ პრობლემად იქცა, როგორც დრამის რეჟისორთათვის, ასევე მაყურებლისთვის.

ამ ბოლო დროს, მომრავლდა შემთხვევები, როდესაც რეჟისორები არა თუ ვერ გვიყვებიან პიესაში მოცემულ სიუჟეტს, სამუშაოს ვერ ასრულებენ და მათი დაწყებული საქმის დამთავრებას ან სხვები იღებენ საკუთარ თავზე, ან კიდევ, რეპეტიციები თვეობით იწელება. ამის მაგალითია რუსთაველის თეატრში დადგმული სპექტაკლი "Play ანუ სიკვდილის როკვა", რომელზე მუშაობაც რეჟისორმა ანდრო ენუქიძემ დაიწყო, მაგრამ რობერტ სტურუამ დაამთავრა. ასევე, მარჯანიშვილის თეატრში განხორციელებული "ქალი წარსულიდან", რომლის დადგმა, კვლავაც ერთმა – პაატა ციკოლიამ დაიწყო, მაგრამ მეორემ – ლევან წულაძემ დაამთავრა... ახლა კი ველოდებით, პრემიერას როდის შემოგვთავაზებს რეჟისორი დათო პაპავა, რომელიც რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე უკვე რამდენიმე თვეა დგამს სპექტაკლს, რომელზეც თეატრალები ისევე წინასწარ ალაპარაკდნენ, როგორც თავად ამ რეჟისორზე. თანაც, ამ შემთხვევაში, წარმოდგენის გამოშვების დაგვიანების პრობლემა სადადგმო ხარჯები სულაც არ გახლავთ. დაფინანსება არსებობს, შედეგი კი – არა და არა... თუმცა, მაინც ვერ ვიფიქრებდი, რომ რეჟისურის ანა-ბანას არმცოდნე ახალგაზრდების მომრავლება შეაწუხებდა რობერტ სტურუას, რომელმაც გადაწყვიტა ხელი მოჰკიდოს საქმეს, რომელზეც ერთხელ უკვე თქვა უარი და თანაც, საკუთარი სურვილით.

საქმე ახალ წამოწყებას ეხება. კერძოდ, იმას, რომ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას დრამის რეჟისურის ფაკულტეტზე, სამაგისტრო პროგრამის გავლით. მსურველებმა განაცხადები 30 დეკემბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ, 26 დეკემბერს კი, კონსულტაციების მისაღებად, ღია კარის დღე გაიმართება.

სპეციალობის დასახელება - დრამის რეჟისურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მისაღებელი აკადემიური ხარისხი – ხელოვნების მაგისტრი, პროგრამის ხელმძღვანელები - რეჟისორი რობერტ სტურუა და ასოცირებული პროფესორი თამარ ბოკუჩავა, სწავლების ხანგრძლივობა - ორი წელი. აღნიშნული პროგრამის მიზანია, მომზადდეს თეატრის რეჟისურის ისეთი სპეციალისტი, რომელიც იცნობს თანამედროვე სათეატრო პროცესებს, ერკვევა თეატრის თეორიაში, იცის რეჟისურის ისტორია, თეორია და შეუძლია შემოქმედებითი თეატრალური პროცესის დაგეგმვა, ანალიზი და მართვა.

სამაგისტრო კურსის ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ რეჟისორ-ანალიტიკოსის მომზადება იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ ის თეატრალურ პროცესს ერთიანი კულტურული პროცესის კონტექსტში აღიქვამს, იცნობს და ხედავს სათეატრო რეჟისურის მიერ განვლილ გზას და განჭვრეტს მისი უახლოესი თუ შორეული განვითარების პერსპექტივებს. მისთვის ცნობილია სპექტაკლის მომზადების საწარმოო-ტექნოლოგიური მხარის ძირითადი კომპონენტები და მათი შესაძლებლობები. ასეთი ტიპის სპეციალისტი კი, ქართული თეატრის საუკეთესო ტრადიციის განვითარებასა და მსოფლიო თეატრალურ პროცესში ქართული თეატრის ინტეგრაციას შეუწყობს ხელს. ის აღჭურვილი იქნება მხატვრული სათეატრო პრაქტიკის ანალიზისა და კონცეპტუალური რეჟისურისათვის აუცილებელი პროფესიული მეთოდოლოგიური მიდგომებით.

მათი ჩანაფიქრი სერიოზულია. მთავარია გამოჩნდნენ ახალგაზრდები, რომლებიც მათთვის შეთავაზებულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ. მაგისტრანტები, ორი წლის განმავლობაში, თეორიული კურსის პარალელურად, პრაქტიკას რუსთაველის თეატრში გაივლიან. მათ მოემსახურება თეატრის ექსპერიმენტული სცენა. კონკურსის მონაწილეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ბაკალავრის წოდება და მნიშვნელობა არა აქვს რომელ სფეროში აქვს განათლება მიღებული. აქ მთავარია, მისი შემოქმედებითი ალღო, მხატვრული აზროვნება და ინტელექტი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გაზეთი "24 საათი" რეჟისორ რობერტ სტურუას გაესაუბრა.

- თქვენ პედაგოგობა ერთხელ უკვე სცადეთ და შემდეგ, განაცხადეთ, რომ ეს საქმე არ გეხერხებათ...

- ახალგაზრდებთან მუშაობა იმდენ ენერგიას მოითხოვს, რამდენითაც, ერთი სემესტრის განმავლობაში, დაახლოებით, სამ სპექტაკლს დავდგამდი... თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ მაშინ ჩემს სტუდენტებთან ძალიან დავახლოვდი. მათ შორის, ერთი-ორი კარგი რეჟისორი დადგა. ერთ-ერთს, სამწუხაროდ, ბედმა ვერ გაუღიმა და ისეთ ვალებში ჩავარდა, რომ ამდენი ხანი რუსეთში, სადღაც "ბენზინკალონკაზე" მუშაობს. მეორეა გოგა თავაძე, რომელიც ახლა ბათუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია... მართალია, მის ბოლო სპექტაკლთან დაკავშირებით რაღაც შენიშვნები მაქვს, მაგრამ ეს ისეთი პრობლემებია, რომლებიც ისედაც შემიძლია ვუთხრა.

- ახლა რატომ გადაწყვიტეთ პედაგოგობა?

- უმთავრესად იმიტომ, რომ ვატყობ, ახალგაზრდა რეჟისორები სცენიდან ამბავს ვერ გვიყვებიან... კი, ინტელექტუალებიც არიან, მაგრამ მოხვალ სპექტაკლზე და სიუჟეტს ვერ გაიგებ, აღარაფერს ვამბობ იმაზე თუ რას ქადაგებენ... როგორც აღმოჩნდა, ამბის მოყოლა რთულია და მეც მინდა მათ სწორედ ეს ვასწავლო. აი, დანარჩენი კი, რაც აზროვნებას, მსოფლმხედველობასა და ესთეტიკას ეხება, მათი ნიჭიერების საქმეა. აი, როგორც, მაგალითად, პიანისტს ასწავლიან დაკვრას... ეტყვიან, დაუკარი ბახის მენუეტი და ისიც დაუკრავს, შენ მოისმენ და რომც არ იყოს გენიალურად შესრულებული, მაინც იტყვი, რომ ბახს ძალიან სასიამოვნო მუსიკა დაუწერია... აი, ეს მინდა ვასწავლო მათ, რასაც, სხვათაშორის, არც რუსეთში ასწავლიან...

- ანუ მასშტაბურად რომ ვიმსჯელოთ, ეს ყველგან პრობლემაა?

- დიახ, რადგანაც უცხოეთში ახალგაზრდებს ისე ზრდიან, რომ ამბის მოყოლას მათაც არ ასწავლიან... ისინი თვლიან, რომ ეს მარტივია... არადა, ეს მთავარია ხელოვნებაში, თვით სახვით ხელოვნებაში და მუსიკაშიც კი... რეჟისორმა, მსახიობების საშუალებით, უნდა შეძლოს მომიყვეს სიუჟეტი, რომელსაც მაყურებელს სთავაზობს. სხვათაშორის, მინდა გითხრათ, რომ ამას მსახიობები, ზოგჯერ, რეჟისორის გარეშე უკეთ ახერხებენ... იმიტომაც არის გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ რეჟისორი მსახიობებს ხშირად ხელს უშლის... მაგალითად, მოსკოვის მცირე თეატრი საერთოდ უარყოფს რეჟისორს, იქ ამბობენ, რომ მსახიობები საქმეს თვითონ შესანიშნავად გაართმევენ თავს...

- მაგისტრანტებს რა კრიტერიუმით შეარჩევთ?

- მე ვფიქრობ, რომ რეჟისორი, უპირველესად, ძალიან საღი აზროვნების ადამიანი უნდა იყოს. ის უნდა ხედავდეს და ანალიზს უკეთებდეს იმას, რაც სამყაროში ხდება... ამის შემდეგ კი, შესაძლოა ბანალურადაც კი ჟღერდეს, მაგრამ მას თეატრი ისე უნდა უყვარდეს, რომ სხვაგან არ უნდოდეს... რომანტიზმის პერიოდი დასრულდა. ვფიქრობ, რომ საქართველო ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ თავზე ზვავივით დამტყდარ პრობლემებზე პირდაპირ ვილაპარაკოთ. ყოველივე ამას კი, ძალიან საღი აზროვნების ადამიანი სჭირდება.

- რა არის ის განსაკუთრებული, რაც თქვენი პედაგოგებისგან ისწავლეთ და მომავალ თაობას გადასცემთ?

- იცით რა, ეს საქმე რწმენასავით არის... აი, მიშა თუმანიშვილი და სხვათაშორის, დოდო ალექსიძეც, როგორც კი რაიმეს ჩავიდენდით, არ შევასრულებდით დავალებას, მკაცრადაც გვსჯიდნენ. ასეთი საქციელი ღალატად ითვლებოდა. წლების განმავლობაში იმ დასკვნამდე მივედი, რომ დავაკვირდი, ვინც თეატრს ღალატობს, მისი ცხოვრება ცუდად შემოტრიალდება ხოლმე... თავდაპირველად, სწორედ ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება, შემდეგ კი, აუცილებელია ფილოსოფიის ისტორიის შესწავლა, რადგანაც მსოფლიოს ისეთი რეჟისორები სჭირდება, რომლებიც ახალ აზრს მოგვაწოდებენ და ჩვენც მათი სპექტაკლებიდან სახლში გაკვირვებულები და გახარებულები წამოვალთ... შესაძლოა, რეჟისორის პოზიციას სულაც არ ვეთანხმებოდეთ, მაგრამ მთავარია მან დაგვაფიქროს...

- ამ სამაგისტრო პროგრამის ამოქმედების მიზანი ისიც ხომ არ არის, რომ გსურთ დატოვოთ მოწაფე, რომელიც თქვენს გზას გააგრძელებს?

- გუშინ მიყვებოდნენ, რომ ერთ რეჟისორს უთქვამს, თურმე, რობიკო ძალიან ცუდად გამხდარა, დამიძახა და მითხრა, ქართული თეატრის ბედი შენ გააგრძელეო... მე, რა თქმა უნდა, გამეცინა... ასე არ ვფიქრობ, რადგანაც ეს ჩემს გარეშე მოხდება... ასე ადვილი რომ იყოს პედაგოგისთვის რაიმეს მოსწავლისთვის გადაცემა, მაშინ ყველაფერი ძალიან ლოგიკური იქნებოდა...

ტენდერი იმერეთის რეგიონში დევნილების კომპაქტურად ჩასახლებების ცენტრებში შიდა ელგაყვანილობის შეკეთების შესახებ

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

UMCOR United Methodist Committee On Relief

გაერთიანებული მეთოდისტური კომიტეტის ჰუმანიტარული მისიის საქართველოს წარმომადგენლობა (ამქორ-საქართველო) აცხადებს ტენდერს საქართველოში საომარი მოქმედებების შედეგად დევნილი მოსახლეობის დახმარებისათვის, იმერეთის რეგიონში, კერძოდ: ქ. ქუთაისში იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად ჩასახლებულ 6 კომუნალურ ცენტრში და ქ. ზესტაფონში 1 კომუნალურ ცენტრში შიდა ელგაყვანილობის შეკეთებაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ კომპანიას მონაწილეობის მისაღებად.

პროექტი ხორციელდება OFDA/USAID-ის დაფინანსებით.

ამქორი არის ჰუმანიტარული ორგანიზაცია რომელიც ფუნქციონირებს სამართლიანობის, სუვერენიტეტის და ნეიტრალიტეტის პრინციპებზე დაყრდნობით.

უფლებამოსილი კომპანიების კრიტერიუმები

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა დაინტერესებულ რეზიდენტ იურიდიულ და მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოში.

ტენდერში მონაწილეობისათვის დაინტერესებულმა კომპანიებმა და მეწარმე ფიზიკურმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პირის შესახებ, შემდეგი მონაცემების მითითებით:
- კომპანიის ან მეწარმე ფიზიკური პირის დასახელება;
- იურიდიული სტატუსი;
- იურიდიული მისამართი;
- საკონტაქტო ინფორმაცია;
- საგადასახადო კოდი;

2. სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
- განცხადებას ტენდერში მონაწილების სურვილის შესახებ
- შესასრულებელი სამუშაოების საერთო ფასს დღგ-ს გარეშე.
- შესასრულებელი სამუშაოების დამთავრების პერიოდს.
- სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან საწარმოს რეგისტრაციის შესახებ;

შენიშვნა: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი უნდა იყოს დედანი ან ნოტარიულად დამომწმებული ქსერო ასლი.

სატენდერო წინადადებების შერჩევა და სხვა პირობები

- სატენდერო წინადადებები გაიხსნება ამქორ-საქართველოს სატენდერო კომიტეტის მიერ;

- სატენდერო წინადადებები შეირჩევა შემოთავაზებული ფასის მიხედვითა და სატენდერო პირობების გათვალისწინებით.

- თუ კომიტეტი გამოიტანს დასკვნას, რომ არცერთი კომპანია ან ფიზიკური პირის შემოთავაზება არ აკმაყოფილებს ტენდერის პირობებს, ამქორ-საქართველო იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს გამოაცხადოს ახალი ტენდერი იგივე ან სხვა პირობებით.

- ამქორი იტოვებს უფლებას არ განაცხადოს საჯაროდ ტენდერში მონაწილე კომპანიების შემოთავაზებები.

- ამქორი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პირებისაგან.

- ტენდერში მონაწილეები არ იქნებიან უფლებამოსილი ჩაასწორონ, შეცვალონ ან გამოითხოვონ წინადადება მათი ჩაბარების ვადის გასვლის შემდეგ;

- ამქორ-საქართველო იტოვებს უფლებას უარყოს ნებისმიერი წინადადება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე წარმომდგენის მიმართ;

- ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი, ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

- პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში შასასრულებელი სამუშაოების ვადა განისაზღვროს **ორი კვირის ვადით**.

სატენდერო წინადადების წარდგენის პროცედურა

- დაინტერესებული კომპანიებმა და მეწარმე ფიზიკურმა პირებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადება ქართულ ან ინგლისურ ენაზე, დაბეჭდილი კონვერტით რომელზეც აღნიშნულია ტენდერში მონაწილე პირის დასახელება და აღნიშვნა, რომ დოკუმენტები წარმოდგენილია გამოცხადებული ტენდერისთვის;

- ორგანიზაციებმა ტენდერში მონაწილეობისათვის დამატებითი ინფორმაციის (ობიექტების დისლოკაცია, შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხა და სხვა) მისაღებად მიმართეთ: „UMCOR -ის საქართველოს წარმომადგენლობის ქუთაისის ოფისს. მისამართი: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ N27.

სატენდერო წინადადების შემოტანა უნდა მოხდეს შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის გამზირი N12ა"საერთაშორისო ორგანიზაცია UMCOR

ტელეფონი: 995 32 387003, 206 800, 206 801.

ან

ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი 27, საერთაშორისო ორგანიზაცია UMCOR"-საქართველოს ქუთაისის წარმომადგენლობა. ტელეფონი: 8231 45877

საკონტაქტო პირი:: გიორგი კვეტენაძე მობ. T-899540558.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება განხორციელდება აღნიშნულ მისამართებზე 2008 წლის 24 დეკემბრიდან 2008 წლის 29 დეკემბრის 16.00 საათამდე.

- წინანადებების მიღების ბოლო ვადაა 16:00 საათი, 2008 წლის 29 დეკემბერი;
- ამ ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი წინადადებები არ განიხილება.

TENDER ANNOUNCEMENT ON REHABILITATION OF INTERNAL WIRING IN IDP COMMUNAL CENTERS IN IMERETI FOR IDPs SUFFERED FROM HOSTILITIES IN GEORGIA

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

UMCOR United Methodist Committee On Relief

UMCOR-Georgia, the representation of the United Methodists Committee on Relief (UMCOR) in Georgia is pleased to announce a tender on rehabilitation of internal wiring in 6 IDP Centers in Kutaisi and at 1 Center in Zestaphoni and invites bids from interested companies. The Project is financed by the OFDA/US Agency for International Development (USAID).

UMCOR is a humanitarian organization working on the principles of impartiality, independence and neutrality.

ELIGIBILITY CRITERIA

All interested resident entities and entrepreneurs registered in Georgia are eligible for participation in the tender.

INTERESTED COMPANIES AND ENTREPRENEURS SHOULD SUBMIT FOLLOWING INFROMATION:

1. Information about the participant, with indication of:
" Name of the company, Individual Entrepreneur;
" Legal status;
" Legal address;
" Contact information;
" Tax registration number
2. Bid including the following:
" Letter of interest for participation in tender;
" Offered price in US Dollars excluding VAT;
" Rehabilitation works completion period;
" 2% bank guarantee of the bid total value;
3. Abstract of record from the registry for commercial entities

NOTE: All above mentioned documents should be original or notary approved copies.

SELECTION OF THE BIDS AND OTHER CONDITIONS

" Envelopes will be opened in the presence of the designated UMCOR Bid Selection Committee.

" Selection of the bids will be based on descending sorting of the offered prices and other tender conditions.

" In case of winning the Bank Guarantee in amount of 5% of the total value of the Agreement will be used to guarantee implementation of the Agreement.

" If no company or individual is meeting tender requirements, UMCOR-Georgia reserves the right to announce a new tender with the same or changed conditions.

" UMCOR-Georgia has no obligation to announce publicly the bids of participating companies.

" UMCOR-Georgia reserves the right to request additional information from the participants.

" Participants shall not be permitted or requested to correct, withdraw or in any way alter the bids after the determined deadline.

" UMCOR reserves the right to reject any bid without thereby incurring any liability to the affected submitters.

" In case of winning the construction works should be completed in two week period.

BID SUBMISSION PROCEDURES

" Interested companies and entrepreneurs are welcome to submit the bids in Georgian or English languages in a sealed envelope with a clearly marked participant name and notice that the bid intend for announced tender;

" Companies may obtain additional information (IDP centers' location, list of works to be done etc.) from the UMCOR Georgia Kutaisi office. Address: 27, Rustaveli ave., Kutaisi, Georgia.

" The bids should be submitted to the following address: UMCOR-Georgia, VI Floor, 12A Kazbegi Ave., Tbilisi, Georgia. Phone: (99532) 387003, 206800,206801; Fax: (99532) 387005

Or UMCOR-Georgia Kutaisi Office, Address: 27, Rustaveli ave., Kutaisi, Georgia

" Deadline for submission: 16:00, December 29, 2008;

" All documents submitted after the above stipulated time will not be considered.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს "თბილისის ავტობუსი"(მისამართი: თბილისი, ცაბაძის ქ. №8, მე-6სართული) ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის №10-54 გადაწყვეტილებით "დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის დებულების დამტკიცების შესახებ" დამტკიცებული დებულების და ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 10 ნოემბრის №20.17.689 დადგენილების საფუძველზე

ა ც ხ ა დ ე ბ ს გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ი თ ა უ ქ ც ი ო ნ ს

შპს „თბილისის ავტობუსი"-ს ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი სატრანსპორტო საშუალებების და დაზგა-დანადგარების აუქციონის ფორმით რეალიზების თაობაზე.

სარეალიზებო ქონების ოდენობა: – 2 (ორი) ერთეული დაზგა-დანადგარი და 3 (სამი) ერთეული სატრანსპორტო საშუალება.

სარეალიზებო ქონება დაყოფილია 5 (ხუთი) ლოტად და აუქციონი ნატარდება თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე. დასაშვებია აუქციონში მონაწილეობა და განაცხადის წარმოდგენა, როგორც ერთ ასევე რამდენიმე ლოტზე.

სარეალიზებო ქონების საწყისი ფასი, ბიჯისა და "ბე"-ს ოდენობა მოცემულია ცხრილში:

რიგ. №	ლოტის№	ასახ-ელება	სახ. ან საქარ ხ. №	გამოშ ვ წელი	რაოდ. (ცალი)	შაწყი-სი ფასი ლა-რებში	"ბე"-ს ოდე-ნობა (საწყ-ისი ფასის 10%) ლარებ ში	ბიჯი ლარ-ებში	ონ-აწილის ბილეთის ღირებულე ბა ლარებში
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	1	სახარატო ავტომატუ რი ჩარხი 16A20F3C3 9	03685	1988	1	10000 0	10000	1000	100
2	2	სახარატო ავტომატუ რი ჩარხი 16A20F3C3 9	03686	1988	1	10000 0	10000	1000	100
3	3	სატვირთო ავტომობი ლი ზილ 157	AEB-610	1988	1	3713	371	100	100
4	5	სატვირთო ავტომობი ლი ზილ 157	ACN-901	1989	1	4125	412	100	100
5	6	თხევადი აირის ცისტერნა TZAIL-12-885	AA-388	1984	1	3675	367	100	100

გადახდილი "ბე"-ს თანხა ჩაითვლება ხაბოლოო ანგარიშსწორების ანგარიშში.

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებაა 100 ლარი (თითოეული ლოტისათვის). აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს "თბილისის ავტობუსი"-ს საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად საწარმოს (რეგისტრატორს) წარმოუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ქონების ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის ("ბე"-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის, ქონების საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: №220101502
ანგარიშსწორების ანგარიში: №340798164050257400 00
საიდენტიფიკაციო კოდი: №202207307
შპს "თბილისის ავტობუსი"

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:
- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
- „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში: პირადობის მოწმობა(პრეზენტენტი სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირადობის მოწმობის დედანს, რომლის ასლიც რჩება რეგისტრატორთან);
- იურიდიული პირისათვის: განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და სადამფუძნებლო დოკუმენტაცია: პარტნიორთა (აქციონერთა ან სხვა) კრების ოქმი და წესდება (ან სადამფუძნებლო დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

განაცხადები მიიღება: 2009 წლის 22 იანვრის 12 საათამდე.
აუქციონი გაიმართება: 2009 წლის 22 იანვარს 14 საათზე.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია:
აუქციონის ნატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში დაფაროს შეძენილი ქონების სრული ღირებულება, გააფორმოს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი.

აუქციონში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმების სანოტარო და სატრანზიტო პოლიციაში ავტომანქანის გადაფორმებისას საჭირო ხარჯებს ეზრუნველყოფს აუქციონში გამარჯვებული.

აუქციონში დამარცხებულს გადახდილი „ბე" დაუბრუნდება აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მოთხოვნის საფუძველზე.

განაცხადების წარმოდგენა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: თბილისი, ცაბაძის ქ. №8 მე-6 სართული. ტელ.: 43-73-24

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ტ ე ნ დ ე რ შ ი გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ უ ლ ი ს შ ე ს ა ხ ებ

1. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის მიერ ქალაქ რუსთავში საჯარო სკოლების შიდა-სარემონტო სამუშაოების შესყიდვის შესახებ გამოცხადებულ ტენდერში ოცდახუთ ლოტად
III, IV, IX, X, XV, XVI, XVII, XXIII, და **XXV** ლოტში გაიმარჯვა შ.პ.ს. „დაგმა", ხელშეკრულება გაფორმდა **497 762,91 (ოთხასოთხმოცდაჩვიდმეტი ათას შვიდასსამოცდაორი ლარი და ოთხმოცდათერთმეტი თეთრი)** ლარზე:
VI, VII და **XXI** ლოტში გაიმარჯვა შ.პ.ს. „სმარტი+"-მა, ხელშეკრულება გაფორმდა **117 790,84 (ასჩვიდმეტი ათას შვიდასოთხმოცდაათი ლარი და ოთხმოცდაოთხი თეთრი)** ლარზე;
XIV და **XXIV** ლოტში გაიმარჯვა შპ.ს. „გზატკეცილი+"-მა, ხელშეკრულება გაფორმდა **95 270 (ოთხოცდათხუთმეტი ათას ორასსამოცდაათი)** ლარზე:
V და **XI** ლოტში გაიმარჯვა შ.პ.ს. „სამშენებლო სამრეწველო გაერთიანება იბერია"-მ, ხელშეკრულება გაფორმდა **95 437,14** (**ოთხმოცდათხუთმეტი ათას ოთხასოცდაჩვიდმეტი ლარი და თოთხმეტი თეთრი**) ლარზე:

XXII ლოტში გაიმარჯვა შ.პ.ს. „პარმა"-მ, ხელშეკრულება გაფორმდა **48 078,74** (**ორმოცდარვა ათას სამოცდათვრამეტი ლარი და სამოცდათოთხმეტი თეთრი**) ლარზე.

2. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში ქალაქ რუსთავში შარტავას მოედნიდან ქუთაისის მოედნამდე ტროტუარის ქვაფენილის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის შესახებ გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. „გზატკეცილი+", ხელშეკრულება გაფორმდა **289 631** (**ორასოთხმოცდაცხრა ათას ექვსასოცდათერთმეტი**) ლარზე

3. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების მიწოდების შესახებ გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. „ვინდლაიფი", ხელშეკრულება გაფორმდა **47 141 (ორმოცდაშვიდი ათას ასორმოცდაერთი)** ლარზე.

4. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში ქალაქ რუსთავში ქუთაისის მოედნიდან შარტავას მოედნამდე ტროტუარზე დეკორატიული განათების, სკამების და ურნების მოწყობის სამუშაოების შესყიდვის შესახებ გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. „პარმა", ხელშეკრულება გაფორმდა **178 957,86 (ასსამოცდათვრამეტი ათას ცხრაასორმოცდაჩვიდმეტი ლარი და ოთხმოცდაექვსი თეთრი)** ლარზე.

5. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში სამ ლოტად ქალაქ რუსთავში ფასადების (**I ლოტი** - შარტავას N7 სახლის ფასადის შეღებვა; **II ლოტი** - შარტავას N11 სახლის ფასადის შეღებვა; **III ლოტი** - 21-ე მ/რ-ში N16 სახლის ფასადის შეღებვა) სამღებრო სამუშაოების შესყიდვის შესახებ **I, II** და **III** ლოტში გაიმარჯვა შ.პ.ს. „გეოკოლორმა", ხელშეკრულება გაფორმდა **159 275,18 (ასორმოცდაცხრამეტი ათას ორასსამოცდათხუთმეტი ლარი და თვრამეტი თეთრი)** ლარზე.

6. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში ქალაქ რუსთავში ქუთაისის მოედნიდან შარტავას მოედნამდე რკინის მოაჯირებით და საყვავილეებით გზის ნაპირების მოწყობის სამუშაოების შესყიდვის შესახებ გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. „ნიკა 2004", ხელშეკრულება გაფორმდა **482 429 (ოთხასოთხმოცდაორი ათას ოთხასოცდაცხრა)** ლარზე.

7. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში ქალაქ რუსთავში მე-20 მ/რ-ს N1 სახლის ფასადის სამღებრო სამუშაოების შესყიდვის შესახებ გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. „გეოკოლორი", ხელშეკრულება გაფორმდა **289 723,29 (ორასოთხმოცდაცხრა ათას შვიდასოცდასამი ლარი და ოცდაცხრა თეთრი)** ლარზე.

სპორტი

მარკოიშვილის 28 ქულამ კიევველებს ბრინჯაო მოუტანა

წელს მოსკოვამა პირველად უმასპინძლა ტურნირს, რომელშიც ორუსეთის, უკრაინის, ლატვიის, ლიტვის და პოლონეთის საუკეთესო გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა. სამდღიან მინი-ტურნირში უკრაინული "ბკ კიევიც" ასპარეზობდა, რომლის რიგებშიც საქართველოს ნაკრების კალათბურთელი მანუჩარ მარკოიშვილი ირიცხება.

იმთავიმთვე უნდა ითქვას, რომ VTB-ს მიერ ორგანიზებული ტურნირის ფავორიტებად რუსული გუნდები მოიაზრებოდა, ცსკა ხომ ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია მას დიდად არც მოსკლოვის "დინამო" ჩამორჩება. მით უფრო სასიამოვნოა, რომ ამ საკმაოდ წარმომადგენლობით ტურნირში ბრწყინვალედ იასპარეზა "ბკ კიევმა", მანუჩარ მარკოიშვილი კი ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელიც გახლ\და და სიმბოლურ ნაკრებშიც შევიდა.

სწორედ ქართველი კალათბურთელის მანუჩარ მარკოიშვილის ბრწყინვალე თამაშის წყალობით, უკრაინულმა "ბკ კიევმა" მოსკოვის "დინამოს" სენსაციურად 86:73 სძლია და ერთიანი ლიგის გათამაშებაში მე-3 ადგილის დაკავება შეძლო. "მანუმ" ბრინჯაოს მატჩში 28 ქულა მიითვალა და ინდივიდუალური პრიზის მფლობელიც გახდა.

მანუ საუკეთესო მსუბუქ ფორვარდად აღიარეს.

ტურნირში, რომელიც მოსკოვში წლეულს პირველად გაიმართა, აღმოსავლეთ ევროპის

მარკოიშვილის "ბკ კიევმა" მეოთხედფინალში ლიტვურ "ჟალგირისს" 74:67 სძლია, ნახევარფინალში კი მომავალ ჩემპიონ მოსკოვის ცსკა-სთან 58:88 დამარცხდა და ბრინჯაოს მედლების მოპოვებაღა მოახერხა.

"დინამოსთან" მატჩში კიეველები ფავორიტად ნამდვილად არ მოიაზრებოდნენ, თუმცა, მარკოიშვილის ლიდერობით სასახელო გამარჯვება გამოსჭედეს. გადამწყვეტი შეხვედრის მე-3 მეოთხედი გამოდგა, რომელიც კიეველებმა 33:15 მოიგეს და მეტოქე უშანსოდ დატოვეს.

მანუჩარს ასპარეზობა უკრაინული გუნდის სასტარტო ხუთეულში არ დაუწყია, მაგრამ საბოლოოდ მოედანზე 31 წუთი დაჰყო და ფაქტობრივად უშეცდომოდ გაისარჯა.

ჩვენებურის მიერ განხორციელებული 18 ტყორცნიდან 16 ზუსტი გახლდათ. ქართველმა კალათბურთელმა 8-ვე საჯარიმო, 4-ვე სამქულიანი და 6-დან 4 ორქულიანი ჩააგდო და ამგვარად მოგროვებულ 28 ქულას 5 მოხსნა და 1 პასი წაამატა.

მარკოიშვილის მაჩვენებელი ორივე გუნდში საუკეთესო გახლდათ და შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ქართველს საუკეთესო მსუბუქი ფორვარდისთვის განკუთვნილი პრიზიც გადასცეს.

მანუჩარის გარდა, ტურნირის ინდივიდუალური ჯილდოები ცსკა-ს გამთამაშებელ ჯონ რობერტ ჰოლდენს, "ხიმკის" მცველ ანტონ პონკრაშოვს, "ბკ კიევის" მძიმე ფორვარდ კენან ბაირამოვიჩსა და "ხიმკის" ცენტრ მაიკ უილკინსონს ერგოთ, უძვირფასესი მოთამაშისთვის (MVP) განკუთვნილი პრიზი კი ცსკა-ს ლიტველმა მცველმა რამუნას შიშკაუსკასმა მიიღო.

VTB-ს ერთიანი ლიგის ფინალში მოსკოვის ცსკა-მ "ხიმკის" 70:66 მოუგო.

ძიუდოს აკადემიას საპატიო იაპონელი სტუმრობდა

დიღომში ახლად მოწყობილ შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიას საპატიო სტუმარი, იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მასამიცუ ოკი ეწვია.

საპატიო სტუმრის ვიზიტის ძირითადი მიზანი, იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი გრასრუტების კულტურული საგრანტო დახმარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის – "იაპონია-საქართველოს მეგობრობის ძიუდოს დარბაზის" ოფიციალურად გახსნის ცერემონიაზე დასწრება იყო.

ელჩს მასპინძლობას უწევდნენ ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი დილარ ხაბულიანი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური და ქალაქის სპორტის სამსახურის ხელმძღვანელები.

გრასრუტების კულტურული საგრანტო დახმარების პროგრამას იაპონიის საელჩომ და საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ ხელი მოაწერეს 2007 წლის მარტში. პროექტის მიზანი ძიუდოისტებისთვის სავარჯიშო პირობების გაუმჯობესება გახლდათ.

დარბაზის გახსნისა და აკადემიის დათვალიერების შემდეგ, მასამიცუ ოკიმ ქართულ მხარეს ლეგენდარული იაპონელი ძიუდოისტის, იამასიტას მისასალმებელი წერილი გააცნო. იაპონური ძიუდოს ლეგენდა, ამ დღესთან დაკავშირებით პირადად გეგმავდა საქართველოში სტუმრობას, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, მისი ვიზიტი არ შედგა.

"ჩემთვის დიდი პატივია დღეს თქვენს გვერდით ყოფნა. ჩვენი თანამშრომლობა დიდი ხნის წინათ დაიწყო. ძალიან მსიამოვნებს ასეთი კარგი და ინტენსიური ურთიერთობა რომ გვაქვს, რომელსაც მჯერა უფრო გავაღრმავებთ. ბევრი იაპონელი ძიუდოისტია ნამყოფი საქართველოში, ისევე როგორც ქართველი ძიუდოისტები იაპონიაში. საქართველოში ძიუდო მეტად გაქვთ განვითარებული. სპორტის ამ სახეობას დიდ ყურადღებას უთმობთ, რაც ბევრისთვის მისაბაძი უნდა გახდეს. ყოველთვის გამოირჩეოდით ძლიერი ძიუდოისტებით. გყავთ ოლიმპიური თუ მსოფლიო ჩემპიონები... მსოფლიოში სახელგანთქმული და ძლიერი ნაკრები, ოღონდ იაპონელების შემდეგ", – ღიმილით აღნიშნა ელჩმა.

ასათიანის ტურნირი მერიამ მოიგო

2008 წლის, 22 დეკემბერს კახი ასათიანის სახელობის საერთაშრისო ტურნირი ჩატარდა მინი ფეხბურთში. ფინალში ქ. თბილისის მერიისა და შინაგან საქმეთ სამინისტროს გუნდები შეხვდნენ. გამარჯვება მერიის გუნდმა მოიპოვა -ანგარიშით: (5 : 1)

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის უფროსი: ბ-ნ თემურ გიორგაძე. საუკეთესო თავდამსხმელის ტიტული -თემურ ჯაფარიძემ მოიპოვა.

კახი ასათიანის ტურნირი გასულ წელსაც გაიმართა-, ჩვენთვის დიდი პატივი იყო ამ ტურნირში მონაწილეობის მიღება. მისასალმებელია, რომ კახი ასათიანის სახელობის ტურნირი 2008 წლიდან საერთაშორისო ტურნირის წოდებას იღებს"-განაცხადა გამარჯვებული გუნდის კაპიტანმა თემურ გიორგაძემ.

"ბორჯღალოსნებმა" წელი რეიტინგის მეთოთხმეტე საფეხურზე დაასრულეს

რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) 22 დეკემბრის რეიტინგში, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ცვლილებები არ შეხებია და "ბორჯღალოსნებმა" 69.43 სარეიტინგო ქულით მე-14 პოზიცია შეინარჩუნა. ცვლილებები რეიტინგის ზედა ეშელონსაც არ განუცდია, რომელსაც ერთპიროვნულად ახალი ზელანდიის ძოლ ბლექსი" ლიდერობს. საუკეთესო სამეულს სამხრეთ აფრიკელი "ქურციკები" და ავსტრალიური "ვოლაბიზი" ავსებენ.

IRB-ის ახალ რეიტინგში პლანეტის 26 საუკეთესო ნაკრები 22 დეკემბრისათვის შემდეგნაირად გამოიყურება:

1.ახალი ზელანდია	92.68
2.სამხრეთ აფრიკა	89.45
3.ავსტრალია	85.86
4.არგენტინა	81.56
5.უელსი	81.03
6.ინგლისი	80.86
7.საფრანგეთი	79.49
8.ირლანდია	78.45
9.შოტლანდია	76.76
10.ფიჯი	75.24
11.იტალია	74.64
12.სამოა	72.57
13.ტონგა	70.05
14.საქართველო	**69.43**
15.კანადა	69.12
16.იაპონია	68.05
17.რუმინეთი	67.20
18.რუსეთი	64.63
19.აშშ	63.55
20.ურუგვაი	62.78
21.ესპანეთი	61.18
22.სამხრეთ კორეა	59.02
23.პორტუგალია	58.57
24.ჩილე	56.84
25.ნამიბია	56.82
26.გერმანია	56.73

ქართულ ფრენბურთს ნაახალწლევს ახალი პრეზიდენტი ეყოლება

საქართველოს ფრენბურთის ფედერაციას 2009 წლის 3 იანვარს ახალი პრეზიდენტი ეყოლება, რომელიც ამ ორგანიზაციას მომდევნო 4 წლის ვადით უთავკაცებს.

ფრენბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა ნაახალწლევს, 3 იანვარს, 15:00 საათზე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში გაიმართება. რაც შეეხება კანდიდატებს, ჯერჯერობით პრეზიდენტობის სურვილი არავის გამოუთქვამს. ამჟამად, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციას ლევან ახვლედიანი თავკაცობს.

ქვაცაბაია დაწინაურდა

წლის უკანასკნელი საჩოგბურთო რეიტინგები 29 დეკემბერს გამოქვეყნდება, ბოლოსწინა კლასიფიკაციებში კი 9 ქართველი გოგონა და 7 ვაჟი მოხვდა. გოგონებში ყველაზე დიდი წინსვლა სოფო ქვაცაბაიამ განიცადა. იგი 711-დან 675-ე ადგილამე აღზევდა. ჩვენებურთაგან მოწინავე პოზიციაზე ისევ ანა ტატიშვილი იმყოფება, რომელიც მსოფლიოს 160-ე ჩოგანია.

ვაჟებში მნიშვნელოვანი ცვლილება არცერთ ქართველ ჩოგბურთელს არ შეხებია.

გოგონები: 160 (160). ანა ტატიშვილი – 199; 220 (218). მაკა ჩახნაშვილი – 134; 247 (245). სოფო შაფათავა – 111; 395 (392). ოქსანა კალაშნიკოვა – 56; 652 (655). ეკატერინე გორგოძე – 20; 675 (711). სოფო ქვაცაბაია – 19; 704 (703). მანანა შაფაქიძე – 17; 751 (754). სალომე დევიძე – 14; 920 (921). სოფო მელიქიშვილი – 8;

ვაჟები: 531 (531). ირაკლი ლაბაძე – 48; 922 (923). ლაზარე კუხალაშვილი – 12; 1157 (1159). ლადო ჩიხლაძე – 5; 1219 (1220). ნიკოლოზ ბასილაშვილი – 4; 1329 (1329). ნოდარ ითონიშვილი – 3; 1570 (1569). ბექა ბუჩუკური – 1; 1665 (1663). დემეტრე თაქთაქიშვილი – 1;

წინამძღვრიშვილი კარიერას "ზესტაფონში" გააგრძელებს

2008 წლის მიწურულს საფეხბურთო კლუბმა "ზესტაფონმა" კიდევ ერთი ფეხბურთელი შეიმატა – 20 წლის რატი წინამძღვრიშვილი, რომელიც აქამდე თბილისის "ამერში" ასპარეზობდა, იმერული კლუბის ღირსებას მომდევნო 5 წლის განმავლობაში დაიცავს. ზესტაფონური კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, წინამძღვრიშვილს მყესები აქვს გაწყვეტილი და სასწრაფო ოპერაცია და ხანგრძლივი სარეაბილიტაციო პერიოდი ესაჭიროება.

ევროპის ერთ-ერთ წამყვან კლინიკაში ჩასატარებელი ოპერაციისა და შემდგომი მკურნალობის ხარჯებს მთლიანად საფეხბურთო კლუბი "ზესტაფონი" გასწევს.

წინამძღვრიშვილი 1988 წლის 22 მარტსაა დაბადებული, მისი სიმაღლე 187 სმ-ია, ხოლო წონა – 84 კგ.

რატი თბილისური "ამერის" ღირსებას 2002-2008 წლებში იცავდა. გუნდის ახალწვეული დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს ეროვნული თასის ორგზის (2006 და 2007 წლებში) გამარჯვებული და 2007 წლის ეროვნული ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელია.

ბელამის "ასტონ ვილაში" იწვევენ

ინგლისის პრემიერლიგის გათამაშების ცხრილის სათავეში მყოფ "ასტონ ვილას" ლონდონის "ვესტ ჰემისგან" უელსელი თავდამსხმელის, კრეიგ ბელამის შეძენა სურს. ბირმინგემული კლუბი მზად არის, ფორვარდის სანაცვლოდ 7 მილიონი ფუნტი გაიღოს. "ძალიან ამაყი გავხდი, როცა შევიტყვე, რომ ჩემი გადაბირების სურვილი ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრისთვის მებრძოლმა "ასტონ ვილამ" გამოთქვა. სიმართლე გითხრათ, "ვესტ ჰემში" ყველაფერი მაკმაყოფილებს და საკუთარი ინიციატივით არასოდეს მოვითხოვდი სხვა გუნდში გაშვებას. მაგრამ, ახლა ლონდონელებს რთული პერიოდი უდგათ და ნამდვილად არ შემიძლია იმის პროგნოზირება, როგორ მოიქცევიან კლუბის ხელმძღვანელები. არ არის გამორიცხული, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მათ ჩემი გაყიდვის გადაწყვეტილება მიიღონ", - ამბობს 27 წლის ფორვარდი.

აღსანიშნავია, რომ "ასტონ ვილას" ლიდერობა ყველასთვის საკმაოდ მოულოდნელი იყო, რაც შეეხება თავად ბელამის ვალიელი აშკარად კარგი ფეხბურთელია, თუმცა მეტად ჭირვეული ხასიათის გამო ვერაფრით შეძლო უმაღლესი დონის გუნდში თამაში. ერთხანს კრეიგი "ლივერპულის" ღირსებასაც იცავდა, თუმცა მერსისაიდულმა კლუბმა ფეხბურთელი სწორედ ანჩხლი ხასიათის გამო დაითხოვა.

"ლიდსს" ტანდემი გაწვრთნის

ერთ დროს ინგლისის ტოპ-კლუბად მიჩნეულ, ამჟამად კი ქვეყნის I ლიგაში მოასპარეზე "ლიდსს" ახალგაზრდა მწვრთნელთა ტანდემი უხელმძღვანელებს გუსტავო პოიეტისა და ადრიან ბუტროიდის შემადგენლობით. გუნდის თავკაცის პოსტზე მათ შოტლანდიელი სპეციალისტი გარი მაკალისტერი შეცვალეს.

სხვათა შორის, კლუბის ხელმძღვანელები სავარაუდო კანდიდატთა შორის "მანჩესტერ იუნაიტედის" დამრიგებლის, სერ ალექს ფერგიუსონის შვილის, დარენს ფერგიუსონის კანდიდატურასაც განიხილავდნენ.

აქვე შეგახსენებთ, რომ პოიეტი "ტოტენჰემში" ხუანდე რამოსის თანაშემწედ მუშაობდა, ბუტროიდი კი 2005-08 წლებში ძუოტფორდს" წვრთნიდა.

ბუსკეტსი "ბარსელონაში" დარჩება

სერხიო ბუსკეტსი წლევანდელი სეზონის აღმოჩენად შეიძლება მივიჩნიოთ. კატალონიური "ბარსელონას" საფეხბურთო სკოლის აღზრდილმა ფეხბურთელმა წლეულს გუნდის ძირითადში დაიმკვიდრა ადგილი, პეპ გვარდიოლამ მას შანსი მისცა და ახლა ბუსკეტსი ფაქტობრივად ყოველ შეხვედრაში გადის მინდორზე.

აღსანიშნავიაბ რომ კატალონიელთა საყრდენმა სწრაფად მიიქცია სხვა კლუბების ღურადღება და მისი გადაბირების მსურველებიც გაჩნდნენ. სწორედ ამიტომ კლუბმა ფეხბურთელთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. 20 წლის ბუსკეტსი "ბარსას" მაისურით მომავალი 4 წლის განმავლობაში ითამაშებს.

მიმდინარე სეზონში სერხიომ კატალონიელთა რიგებში 17 მატჩი ჩაატარა და 2 გოლის გატანა შეძლო.

"ბარსელონა" ბუსკეტს მხოლოდ მაშინ შეელევა, თუკი მის ნაცვლად 112 მილიონ დოლარს მიიღებს.

ტოტი ორ თვეს დაისვენებს

იტალიური "რომას" ლიდერი ფრანჩესკო ტოტი, შესაძლოა, გუნდს 2 თვის განმავლობაში დააკლდეს.

ტოტი სერია A-ს მე-17 ტურში "კატანიასთან" მატჩში დაშავდა, მისი საბოლოო გამოჯანმრთელების საბოლოო ვადები კი მორიგი სამედიცინო შემოწმების შემდეგ დადგინდება. დიდი შანსია, ტოტი ჩემპიონთა ლიგაში ლონდონის "არსენალთან" ორივე მერვედფინალურ მატჩს გამოაკლდეს, რაც შესაძლოა "რომასთვის" ფატალურიც კი გამოდგეს.

ესიენი საუკეთესო განელია

ლონდონის "ჩელსის" ნახევარმცველი მიკაელ ესიენი განის 2008 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

გამოკითხვაში მე-2 ადგილი მილანის "ინტერის" წევრმა სალი მუნტარიმ დაიკავა, მესამეზე კი შოტლანდიური "ჰართსის" მოთამაშე ლარი კინგსტონი გავიდა.

"გლადბახმა" სტალტერი და ბეილი დაიბევა

მომავალი წლის იანვარში ინგლისური "ტოტენჰემის" მცველი პოლ სტალტერი და ბელგიური "გენკის" გოლკიპერი ლოგან ბეილი მიონხენგლადბახის "ბორუსიას" წევრები გახდებიან. კანადელი სტალტერი, რომელსაც "ტოტენჰემთან" კონტრაქტის ვადა გაუვიდა, გერმანიაში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაბარგდა და "ბორუსიასთან" 2-წლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ბეილის ხელშეკრულება 4.5 წელზე იქნება გათვლილი.

"ბებერ ქალბატონს" მოდრიჩი მოუნდა

მიმუხედავად იმისა, რომ "იუვენტუსისძ მესვეურები გაიძახიან ზამთარში არავის შევიძენთო, იტალიურმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ხორვატი ფლეიმეიქერის ლუკა მოდრიჩის შესაძენად, "ბებერი ქალბატონი" მზადაა იტალიის ნაკრების ფორვარდს ვიჩენცო იაკვინტას გამოემშვიდობოს. ტურინელთა მთავარ მწვრთნელ კლაუდიო რანიერის ძალიან სურს მისი გუნდის რიგებში "ტოტენჰემის" ხორვატი ნახევარმცველის ხილვა. სწორედ ამის გამო, უახლოეს მომავალში "იუვენტუსი" მოდრიჩის სანაცვლოდ იაკვინტასა და სოლიდური კომპენსაციის გაცემას აპირებს. ამავე დროს, "იუვე" ინგლისური პრემიერლიგის კიდევ ერთ ფეხბურთელს, "ვესტ ჰემის" ნახევარმცველ ვალონ ბეჰრამის აკვირდება.

ბექჰემი ჩემპიონთა ლიგაში თამაშზე ოცნებობს

AFP ' 2008

ბექსი "მილანში".

დევიდ ბექჰემი უკვე მილანშია, კვირას ინგლისელის იფიციალური პრეზენტაციაც შედგა და მას 32 ნომრიანი მაისურიც გადასცეს. თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ვარსკვლავი სამ თვეს გაატარებს იტალიურ გრანდში და შემდეგ წესით ამერიკაში, კერძოდ კი "ლოს ანჯელეს გალაქსიში" უნდა დაბრუნდენს. უნდა ითქვას, რომ "ბექსის" ტრანსფერმა საკმაოდ დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია, თავად ფეხბურთელი კი საკუთარ გადაწყვეტილებას იტალიუელი ჟურნალისებისთვის გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე ხსნის.

- პირველ რიგში მსურს მადლობა გადავუხადო ადრიანო გალიანის, რომელმაც მომცა იმის საშუალება, რომ მე დღეს აქ ვყოფილიყავი. იტალია ძალიან მომწონს და ბედნიერი ვარ, რომ დღეს ამ ქვეყანაში ვიმყოფები. ჩემთვის დიდი პატივია "მილანში" თამაში. კარიერის განმავლობაში ვასპარეზობდი ინგლისურ და ესპანურ გრანდში აი ახლა კი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან კლუბში ჩავირიცხე. ასეთი პატივი ბევრ ფეხბურთელს როდი ჰქონია. შევეცდები ყველაფერი გავაკეთო, რათა თანაგუნდელებს დავეხმარო.

- თუ შეიძლება გვითხარით, თავის დროზე რატომ გადაწყვიტეთ ამერიკაში კარიერის გაგრძელება?

- ეს იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. მე მსრუს ამერიკიული ფეხბურთის განვითავრებაში საკუთარი წვლილი შევიტანო. ნამდვილად არ მაქვს იმის პრეტენზია, რომ ჩემი წყალობით ამერიკაში ევროპული ფეხბურთის დონე ამაღლდება, თუმცა თუ ამ საქმეში მცირე წვლილს მაინც შევიტან ჩემს მისიას შესრულებულად ჩავთვლი.

- "მილანში" თქვენი გადმოსვლის მიზეზი ფაბიო კაპელო და ინგლისის ნაკრებში მოხვედრის სურვილი ხომ არ ყოფილა?

- კაპელო ნამდვილი პროფესიონალია, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ. მე ვეთანხმები კაპელოს, მანე მითხრა, რომ ნაკრებში ჩემი გამოძახება მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული შევძლებ თუ არა "მილანში" ადგილის დამკვიდრებას და ცხადია კაპელო ამაში მართალია. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ინგლისის ნაკრების მაისურით თამაში, როგორც იცით უკვე 100 მატჩი მაქვს ნაკრებში გამართული და იმედი მაქვს, რომ კაპელოს ფორმაციის ნაკრებში თამაშის შანსი მექნება. დიახაც "მილანში" გადმოსვლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ესაა, თანაც ახლა ამერიკაში შესვენებაა და საფეხბურთო პრაქტიკა არ მაწყენდა. "მილანზე" არჩევანის გაკეთება კი რთული არ ყოფილა. ეს არის უდიდესი ტრადიციების მქონე კლუბი, რომელშიც ისეთი პროფესიონალები თამაშობენ, როგორიც პაოლო მალდინია, ჩემი აზრით იგი ნებისმიერი პროფესიონალისთვის სამაგალითო პიროვნება უნდა იყოს.

- 32 ნომრიანი მაისური რატომ აირჩიეთ?

- ეს იყო პირველი ნომერი, რომელიც კლუბმა შემომთავაზა.

- არსებობს თუ არა იმის შანსი, რომ "მილანთან" კონტრაქტი გააგრძელოთ?

- 2009 წლის 9 მარტს ამერიკაში უნდა დავბრუნდე. ვიცი, რომ "მილანის" დატოვება რთული იქნება, მაგრამ კონტრაქტის პირობები ასეთია.

- ჩემპიოთნა ლიგის ფლეიოფში "ინტერი" "მანჩესტერს" დაუპირისპირდება. ამ თამაშზე რას გვეტყოდით?

- ბედნიერი ვარ, რომ "ინტერისა" და "მანჩესტერის" თამაში 24 თებერვალს გაიმართება და "სან სიროს" ტრიბუნებიდან ჩემი ყოფილი გუნდის ხილვის საშუალება მექნება. ისე გამოგიტყდებით და იმედი მაქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩემპიონთა ლიგაში მეც ვითამაშებ.

- მილანური დერბის შესახებ რა იცით?

- იტალიური ლიგის შესახებ თითქმის ყველაფერი ვიცი და ცხადია ისიც მესმის თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ფანებისთვის მილანურ დერბის. საერთოდ ინგლისში და ესპანეთში არაერთ ასეთ მატჩში მიმიღია მონაწილეობა. "ინტერს" საკმაოდ ძლიერი მწვრნელი ყავს და დერბიც წესით საინტერესო უნდა იყოს, ვიმედოვნებ, რომ მილანური დერბის თამაში მეც მომიწევს.

- მედიის ყურადღება თქვენი პერსონის მიმართ საკმაოდ დიდია. ეს ხელს ხომ არ გიშლით?

- ამას უკვე შეჩვეული ვარ. ჯერ კიდევ მაშინ როდესაც "მანჩესტერში" ვთამაშოდი და საკმაოდ აზალგნაზრდა ვიყავი მედიის ყურადღება არ მაკლდა, თუმცა გეტყვით, რომ იმ პერიოდში ეს ნერვებს მიშლიდა. ახლა კი ყველაფერს შევეჩვიე. ჩემთვის მთავარია, რომ "მილანს" გამოვადგე და გუნდთან ერთად რაიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვო.

რეალური ვენგერი

AFP ' 2008

ვენგერს მადრიდში ელიან.

ბრიტანული მედიის მტკიცებით მადრიდის "რეალი" ზაფხულში არსენ ვენგერის გადაბირებას შეეცდება. "არსენალის" თავკაცი "რეალის" მთვარი მწვრნელის პოსტის დაკავების ყველაზე რეალურ კანდიდატად არის მიჩნეული.

მოგეხსენებათ სულ ახლახან "სამეფო კლუბში" ხუანდე რამოსი დაინიშნა, "ტოტენჰემის" ყოფილ მთავარ მწვრნელს "რეალში" სეზონის ბოლომდე გაუფორმებს კონტრაქტი და ამ კონტრაქტის გახანგრძლივება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება თუ "რეალი" რამოსთან ერთად ან ესპანეთის ჩემპიონის ტიტულს მოიგებს ან ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდება. ამჟამად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე კი "რეალს" ამ ორი ტიტულიდან ერთ-ერთის მოგების შანსი საკმაოდ მცირეა, შესაბამისად სეზონის დასრულებისთანავე ხუანდე რამოსს "რეალის" დატოვება მოუწევს, სამეფო კლუბს კი ახალი მწვრნელის ძიება.

მადრიდელთა პრეზიდენტ რამონ კალდერონს არაერთხელ უთქვამს, რომ საკუთარი გუნდის მთავარი მწვრნელის პოსტზე ვენგერის ხილვა სურს, ერთი შეხედვით "არსენალის" მწვრთნეელის გადაბირება ფაქტობრივად შეუძლებელია. კარიერის განმავლობაში ვენგერს არასდროს დაურღვევია კონტრაქტი, ამჟამად მომქმედი ხელშეკრულების თანახმად კი ფრანგი "არსენალში" კიდევ 2011 წლამდე უნდა დარჩეს.

თუმცა ახლა "მეთოფეთა" ბანაკში არც ისე სახარბიელო ვითარებაა. არსენ ვენგერი "არსენალში" უკვე დიდი ხანია მუშაობს და ამ კლუბის ყველა ბოლოდროინდელი წარმატება სწორედ ფრანგ სპეციალისტს უკავშირდება, მაგრამ ვენგერის გვერდიგვერდ "არსენალის" დიდებისთვის მუდმივად იღწვოდა კლუბის ყოფილი შეფი დევიდ დინი, რომელსაც თანამდებობა გასული წლის აპრილში დაატოვებინეს.

დინის წასვლის შემდეგ კი "არსენალში" ვითარება ცოტა არ იყოს აირია და კლუბის ახალგაზრდა ვარსკვლავებს გაქცევაზე უჭირავთ თვალი. თანაც ვენგერს არ ეძლევა იმ ფეხბურთელების შეძენის საშუალება, რომელთა ყიდვაც მას სრუს. ზაფხულში კი ლონდონური კლუბი შესაძლოა ფაბრეგასმა, ვან პერსიმ, უოლკოტმა და ადებაიორმა დატოვონ.

შესაბამისად სრულებით არ არის გამორიცხული, რომ "არსენალიდან" ვენგერიც წავიდეს, რომელსაც კლუბის ახალ მესვეურებთან აშკარად დაძაბული ურთიერთობა აქვს.

"ფრედი ჯილარდინოში იცვლება

"ლიონის" პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლასმა ბრაზილიელი ფორვარდის ფრედის შესაძლო გასხვისების თაობაზე კომენტარი გააკეთა. საფრანგეთში ინტენსიურად ვრცელდება ცნობები იმის შესახებ, რომ სამხრეთამერიკელი ქვეყნის ჩემპიონის რიგებს აუცილებლად დატოვებს და ან სამშობლოში დაბრუნდება, ან იტალიაში, კერძოდ კი "ფიორენტინაში" ჩაირიცხება. "ვიცით, რომ ფრედს წასვლა სურს. ფეხბურთელის მომავალს მასთან ერთად განვიხილავთ. ბრაზილიელთან კონტრაქტის გაგრძელება გვსურს. თუ ახლა მოგვიწევს მასთან განშორება, შესაბამისი შემცვლელის მოძებნა ძნელი იქნება. არა მგონი "ფიორენტინამ" მასში ჯილარდინო გაგვიცვალოს", - აცხადებს ოლა

ძოლა უპირატესობას "ჩელსის" ანიჭებს

"ვესტ ჰემის" მთავარი მწვრთნელი, ჯანფრანკო ძოლა მიიჩნევს, რომ ჩემპიონთა ლიგისნ 1/8 ფინალურ წყვილს, "ჩელსისა" და იუვენტუსს" შორის გაამრჯვებული ლონდონური კლუბი გამოვა. იტალიელი ფეხბურთელი "ჩელსის" ღირსებას 1996-2003 წლებში იცავდა. "ეს ძალზედ საინტერესო დაპირისპირება იქნება. ვფიქრობ, ბევრი იქნება დამოკიდებული ფეხბურთელების ფიზიკურ მდგომარეობაზე, მაგრამ მიმაჩნია, რომ გათამაშების შემდეგ სტადიაზე "ჩელსი" გადავა"- ამბობს ძოლა

სანტა კრუზს დარჩენა არ სურს

მიუხედავად იმისა, რომ "ბლექბერნს" სემ ელერდაისის სახით ახალი მწვრთნელი ყავს და ყველა დარწმუნებულია, რომ ეს კაცი გუნდს გასავარდნი ზონიდან ამოიყვანს, "ბლექბერნელთა" ლიდერმა როკე სანტა კრუზმა განაცხადა, რომ გუნდის გამოცვლა სურს. "სეზონის წინ ვერ წარმოვიდგენდი, რომ დასარჩენად მოგვიხდებოდა ბრძოლა, მაგრამ რეალობა მწარეა და ვერ გავექცევით. მინდა, თუ შესაძლებლობა მექნება, სხვა უფრო ამბიციურ კლუბში გადავიდე. მე ევროთასებზე თამაში მომენატრა და ისეთ შეხვედრებში მსურს მონაწილეობის მიღება, რომლებშიც შესაძლებლობა მომეცემა ჩემი უნარი სრულად გამოვაჩინო." - განაცხადა სანტა კრუზმა.

ქულიო "კლუჟს" დატოვებს

ჩემპიონთა ლიგაზე რუმინული "კლუჟის" ფორვარდმა, ხუან ემანუელ ქულიომ 2 გოლი გაიტანა და ეს საკმარისი იყო იმისთვის, რათა საშუალო ევროპული კლუბების ყურადღება მიეპყრო. შანსი იმისა, რომ ქულიო ახალი წლის შემდეგ ისევ "კლუჟში" ითამაშებს, ძალიან ცოტაა და ამას ფეხბურთელიც ადასტურებს. ყველაზე სავარაუდო ის არის, რომ არგენტინელი ფორვარდი კარიერას რუსეთის ჩემპიონ "რუბინში" გააგრძელებს. "რომ არა დაბალი ანაზღაურება, რუმინეთს არ დავტოვებდი, მაგრამ რასაც "კლუჟი" მიხდის, მაქსიმუმია და მე წასვლა მინდა. ჯერჯერობით რეალური წინადადებით "რუბინმა" მომმართა და ალბათ თანხმობას ვიტყვი"- განაცხადა ქულიომ. ყაზანელებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ ქულიოს სანაცვლოდ 6.5 მილიონ ევროს ჩამოდიან და საეჭვოა, ვინმემ ამაზე უკეთესი წინადადება დადოს.

ადრიანოს გზა დაულოცეს

მილანის "ინტერის" მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო წინააღმდეგი არაა, თუ იტალიის ჩემპიონის ბრაზილიელი ფორვარდი ადრიანო სხვა კლუბში გადასვლას მოითხოვს. "პრეზიდენტ მასიმო მორატისთან ერთად დიდი სურვილი გვაქვს ადრიანო გუნდის შემადგენლობაში შევინარჩუნოთ. თუმცა, თუ იგი გაშვებას მოითხოვს, წინააღმდეგი არ ვიქნები. მიმაჩნია, რომ მას მაღალ დონეზე თამაში კიდევ 10 წელი შეუძლია", - ამბობს მოურინიო.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს "თბილისის ავტობუსი"(მისამართი: თბილისი, ცაბაძის ქ. №8, მე-6სართული) ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის №10-54 გადაწყვეტილებით "დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის დებულების დამტკიცების შესახებ" დამტკიცებული დებულების და ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 10 დეკემბრის №22.01.757 დადგენილების საფუძველზე

ა ც ხ ა დ ე ბ ს ა უ ქ ც ი ო ნ ს

შპს „თბილისის ავტობუსი"-ს ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი სატრანსპორტო საშუალებების აუქციონის ფორმით რეალიზების თაობაზე.

სარეალიზებო ქონების ოდენობა: – 7 (შვიდი) ერთეული სატრანსპორტო საშუალება.

სარეალიზებო ქონება დაყოფილია 7 (შვიდი) ლოტად და აუქციონი ჩატარდება თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე. დასაშვებია აუქციონში მონაწილეობა და განაცხადის წარმოდგენა, როგორც ერთ ასევე რამდენიმე ლოტზე.

სარეალიზებო ქონების საწყისი ფასი, ბიჯისა და "ბე"-ს ოდენობა მოცემულია ცხრილში:

რიგ. №	ლოტის№	ასახელება	სახ. №	გამო'შვ წელი	რაოდ. (ცალი)	საწყისი ფასი ლარებში	"ბე"-ს ოდენობა (საწყისი ფასის 10%) ლარებში	ბიჯი ლარებში	მონაწილის ბილეთის ღირებულება ლარებში
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	1	სამგზავრო ავტობუსი „ლაზ-695“	ACQ-189	1986	1	4500	450	100	100
2	2	სამგზავრო ავტობუსი „ლაზ-695“	ACQ-203	1987	1	4000	400	100	100
3	3	სამგზავრო ავტობუსი „ლაზ-695“	ACQ-204	1991	1	4200	420	100	100
4	4	სამგზავრო ავტობუსი „ლაზ-695“	ACQ-129	1987	1	4000	400	100	100
5	5	სამგზავრო ავტობუსი „ლაზ-695“	ACQ-193	1988	1	3500	350	100	100
6	6	სამგზავრო ავტობუსი „ლაზ-695“	ACQ-149	1986	1	4000	400	100	100
7	7	სამგზავრო ავტობუსი „ლაზ-695“	ABQ-154	1986	1	4000	400	100	100

გადახდილი "ბე"-ს თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორების ანგარიშში.

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებაა 100 ლარი (თითოეული ლოტისათვის). აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს "თბილისის ავტობუსი"-ს საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად საწარმოს (რეგისტრატორს) წარმოუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ქონების ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის ("ბე"-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის, ქონების საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტები:

სს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: №220101502
ანგარიშსწორების ანგარიში: №34079816405025740000
საიდენტიფიკაციო კოდი: №202207307
შპს "თბილისის ავტობუსი"

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
- „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში: პირადობის მოწმობა(პრეზენტენტი) სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირადობის მოწმობის დედანს, რომლის ასლიც რჩება რეგისტრატორთან);
- იურიდიული პირისათვის: განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და სადამფუძნებლო დოკუმენტაცია: პარტნიორთა (აქციონერთა ან სხვა) კრების ოქმი და წესდება (ან სადამფუძნებლო დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

განაცხადები მიიღება: 2009 წლის 22 იანვრის 12 საათამდე.
აუქციონი გაიმართება: 2009 წლის 22 იანვარს 15 საათზე.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია:

აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში დაფარის შეძენილი ქონების საბოლოო ღირებულება, გააფორმოს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი.

აუქციონში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმების სანოტარო და საპატრულო პოლიციაში ავტომანქანის გადაფორმებისას საჭირო ხარჯებს უზრუნველყოფს აუქციონში გამარჯვებული.

აუქციონში დამარცხებულს გადახდილი „ბე" დაუბრუნდება აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მოთხოვნის საფუძველზე.

განაცხადების წარმოდგენა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: თბილისი. ცაბაძის ქ. №8 მე-6 სართული. ტელ.: 43-73-24

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება №10.19.691

10 ნოემბერი 2008 წელი

ქ. თბილისის მთავრობის 100%–ანი წილობრივი
მონაწილეობით დაფუძნებული ზოგიერთი
საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 9^1 და მე–14 მუხლების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. განხორციელდეს დანართში მითითებული ქ. თბილისის მთავრობის 100%–ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიების ლიკვიდაცია.

2. დანართში მითითებული კომპანიების ლიკვიდატორად დაინიშნოს ლაშა წურწუმია (დაბ. 21.09.1976 წელს პირ. № 01017004489)

3. დაევალოს ლაშა წურწუმიას უზრუნველყოს საზოგადოებების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება უმოკლეს ვადებში.

4. საზოგადოების ლიკვიდაციის პროცედურების დასრულების შედეგად დარჩენილი ქონება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაეცეს ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვით.
5. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) – მერიის ადმინისტრაციის უფროსს მ. ახვლედიანს.

6. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. (მის: აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6).

ქ. თბილისის მერი **გიორგი უგულავა**

დანართი №1

№	კომპანიის დასახელება
1	შპს „ავტოსატრანსპორტო საწარმო“
2	შპს „უძრავი ქონება - მომსახურება“
3	შპს „ხილიანი“
4	შპს ისანი-სამგორის რ-ის „ს/კ მომსახურების №10 ს/ ცენტრი“
5	შპს ისანი-სამგორის რ-ის „ს/კ მომსახურების №90 ს/ცენტრი“
6	შპს ვაკე-საბურთალოს რ-ის ს/კ მომსახურების ს/ც „ნუცუბიძის პლატო I“
7	შპს ვაკე-საბურთალოს რ-ის ს/კ მომსახურების ს/ც „დიდი დიღომი 1“
8	შპს „კონიაკის უბნის ს/კ მომსახურების ს/ცენტრი“
9	შპს „გლადნის მასივის ს/კ მომსახურების №1 უბნის ს/ცენტრი“
10	შპს „გლდანის მასივის ს/კ მომსახურების №4 უბნის ს/ცენტრი“
11	შპს „მუხიანის დასახ. ს/კ მომსახურების №1 უბნის ს/ცენტრი“
12	შპს „ზღვის უბნის ს/კ მომსახურების №1 ს/ცენტრი“
13	შპს „ზღვის უბნის ს/კ მომსახურების №2 ს/ცენტრი“
14	შპს დიდუბე-ჩუღურეთის რ-ის ს/კ მომსახურების ს/ც „სვანეთის უბანი“
15	შპს დიდუბე-ჩუღურეთის რ-ის ს/კ მომსახურების ს/ც „ჩუღურეთი“

დოპინგს ცხენებიც იღებენ

AFP ' 2008

ნორვეგიელ ცხენოსნებს ოლიმპიურ ბრინჯაოს ჩამოართმევენ.

თანამედროვე სპორტში დოპინგ სკანდალები იმდენად ხშირია, რომ მათზე საუბარი უკვე მოსაბეზრებელიც ხდება, თუმცა ამჯერად ოდნავ უცნაურ შემთხვევაზეა საუბარი. საქმე ისაა, რომ დოპინგის მიღებაში არა სპორტსმენი არამდე ცხენი იქნა გამოჭერილი.

ნორვეგიელ მხედარ ტონი ანდრე ჰანსენის ცხენ კამიროს სისხლში აკრძალული პრეპარატი კაპსაცინი ჯერ კიდევ აგვისტოს თვეში აღმოაჩინეს და სპორტსმენს ყველა ის ტიტული ჩამოერთვა, რომელიც მან ამ ცხენთან ერთად მოიგო. ამავდროულად ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით ჰანსენს 135 დღიანი დსიკვალიფიკაცია მისცეს და ჯარიმის სახით 8 ათასი შვეიცარული ფრანკიც გადაიხადევინეს.

ერთი შეხედვით სასჯელი აბსოლუტურად საკმარისი უნდა ყოფილიყო, თუმცა ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ჰანსენთან ერთად ნორვეგიის ნაკრებიც დასაჯა.

საქმე ისაა, რომ ჰანსენი თავის ცხენთან ერთად ნორვეგიის ნაკრების წევრიცაა. 2008 წლის პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე კი ნორვეგიელებმა გუნდურ ჩათვლაში ცხენოსნობაში ბრინჯაოს მედლებიც მოიგეს.

ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ გააუქმა ჰანსენის მიერ მოგებული ყველა ქულა და შესაბამისად გაუქმდა ის ქულებიც, რომლებიც მან ოლიმპიურ თამაშებზე ნორვეგიის ნაკრების ყულაბას შემატა. ამრიგად ნორვეგიელებს ბრინჯაოს მედლები ჩამოერთავთ.

ჰანსენსა და ნორვეგიის ნაკრებს ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაპროტესტება უახლოესი 30 დღის განმავლობაში შეუძლიათ.

თუ ნორვეგიელებმა აპელაცია დაწერეს მას უკვე სპორტსი საარბიტრაჟო სასამართლო განიხილავს და საბლოო გადაწყვეტილებაც ამ ორგანიზაციის ვერდიქტის შემდეგ იქნება მიღებული. თუ სასამართლომ ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, მაშინ პეკინის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლები შვეიცარელებს გადაეცემათ, რომლებმაც ოლიმპიურ თამაშებზე მეოთხე ადგილი დაიკავეს.

10%-იანი ფასდაკლება 1 თებერვლამდე

HYUNDAI

I-30 და VERACRUZ-ზე